



საბჭოეთში საშენებლო საქმე

ს.ს.ს.რ.
უწყსტსაზრუნველ
თარგმანის
თარგმანი

→ შინაგანი ←

№ 19

თექვსმეტე
1928

- პ. ჯავთარაძე — საბრკოვრატურო განყოფილების მუშაობის შესახებ.
- ი. აფაქიძე. — ყიდვა-გაყიდვა ცალობით და ფასის გადახდის განაწილებით.
- ნ. სააკოვი. — პასუხი წერილისა „პროტიტუცია როგორც დანაშაული“.
- ს. დადიანი — რაციონალიზაცია და გაძლიერებული სალიკვირაციო დაცვა.
- გ. გიორგაძე. — დამცველთა კოლეგიის „კოლექტივიზაცია“.
- ი. გულორდავა — დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის.
- მ. თუმანიშვილი — ცრუ — მოწმობა.

ტარმინოლოგიის მასალისათვის
 პ. ჯავთარაძე.
 იუკრიდიული დახმარება
 კანონმდებლობის მიმოსხილვა
 ოფიციალური ნაწილი

1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ დ ის ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის

ორკვირული ორგანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საპითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი **კენიტიანიკულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაბრო მილიციის მუშობას.**

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე **შედეგი განყოფილებები:**

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ტერმინოლოგიის მასალა. ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალი თანაქვერდებულ შედეგი ახსნაზე:
(ანბანზე)

ალხოვი ა., ამალღობელი ს. ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დოლიძე თ., ვარდანანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაქარავა ა., კოხტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი გ., მათიკაშვილი შ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ. პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი. ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურლაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ა. კაქარავა, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ. ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმომწერა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32, ტელეფონი № 10—51.

საპარტიო საბარათო

34(05)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ს.ი.პ.

კლასების და კანტონის
მისაპროტი:

სალისმუშაობის უსი:


ტფილენი, ტრიბუნალის

წლიურად — 10 მან.

6 თვით — 5 მ. 50 კ.

3 თვით — 3 მ.

1 ნომერი 50 კ.



ტელ. № 51

№ 19

1 იანვარი 1928 წ.

№ 19

საპროკურატურო განყოფილების მუშაობის შესახებ *

ბევრი რამ დაწერილა მაზრაში მომუშავეების საქმიანობის და მოვალეობის შესახებ, აუარებელი ცირკულიარები და სახელმძღვანელოები არის დაგზავნილი მაგრამ ერთხელაც არ დასმულა საკითხი, თუ რა მოვალეობა აწევს ცენტრს გარდა ცირკულიარების გამოცემისა, და რა აქვს მას სინამდვილეში გაკეთებული. თუ კი ზემდგომი ორგანო თვითონ არ ასრულებს თავის მოვალეობას, თვითვე არ გაატარებს ცხოვრებაში მის მიერ გამოცემულ დებულებებს, მაშინ მას ერთმევა იურიდიული და მორალური უფლება, რომ მოსთხოვოს ქვემდგომ ორგანოებს მათი განხორციელება. ასეთია დღემდე ჩვენი საპროკურატურო განყოფილების საქმიანობა. თუ რაში გამოიხატება ამ განყოფილების მუშაობა, ეს შეიძლება ითქვას ორი სიტყვით: ცირკულიარების წერასა და ზედამხედველობის წესით სასამ. საქმეების განხილვაში; ამასთან ერთად ყოველ დღე საათობით ბასი იმ პირებთან, რომლებიც წლობით დაწრიალობენ პროკურატურის კარებთან, და გამოკვლევების მოხდენა ზოგიერთ მაზრის საქმიანობისა იმ შემთხვევაში, როცა საკითხი მეტად მწვავედ წამოიჭრება და ცდას არ ითმენს.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ განყოფილებაში პროკურორები უსაქმოდ იყვნენ, პირიქით ისინი ზედმეტად არიან დატვირთულნი მუშაობით, მათ დღე და ღამე აქვთ გასწორებული. დღემდე არსებული უსისტემო და უგეგმო მუშაობის გამო მათ მითვისებული აქვთ მაზრის პროკურორების უფლება-მოვალეობა სასამართლო ზედამხედველობის სფეროში. ამის გამო განყოფილება ცურავს სქელ და ძველ ყდიან სასამართლოს საქმეებში, რომლების განხილვა სწარმოებს წლობით, რა მდგომარეობაც ძალაუფლებურად ჰქმნის შთაბეჭდილებას უსახლვრო ვოლოკიტისას და უთავრიგობისას.

მკითხველის წინაშე აღიძრება საკითხი, რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს უთავრიგობა და უსისტემობა? ეს გამოიხატება იმაში, რომ 1) საპროკურატურო განყოფილებას დღიდან მისი არსებობისა არ ჰქონია თავის სამუშაო გეგმა, 2) განყოფილებაში მომუშავემ არ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს რომელიმე დღეს, ან თვეს, თუ კი ვინმესაგან არ შეძოსულა საზედამხედველო საჩივარი, 3) განყოფილებას არა აქვს აღწესებული საკითხები

მომავალი მუშაობისა და მხოლოდ და მხოლოდ იხილავს მნიშვნელობას მოკლებულ სასამართლოების დახვეწებულ საქმეებს, რომლების გადათვალეობაც მოხსენებული უსისტემობის გამო ხდება რამდენიმეჯერ. ამის გამო ზოგიერთი საქმეების დამთავრებას ბოლო არ უჩანს. სასამართლოების საქმეები, როგორც სისხლის სამართლისა, ისე სამოქალაქო, იხილება განყოფილებაში იმ დროს, როცა ეს მაზრის და უბნის პროკურორის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს. გარდა ამისა პროკურატურა ზედამხედველობის წესით საქმეების განხილვისა და წარმართვის დროს არ ხელმძღვანელობს იმ ძირითად დებულებით, რომელიც აძლევს მას უფლებას შევიდეს უზენაეს სასამართლოში პროტესტით (საპ. საპრ. კოდ. 254 მუხ.). ამრიგად პროკურატურა აწარმოებს ძველი სასამართლოს ტიპურ ჩინოვნიკურ მუშაობას და თავის უდიდეს უფლება-მოვალეობათა განხორციელება, საერთო ზედამხედველობა და მეთვალყურეობა ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ორგანოების საქმიანობაზე და მუშაობა რევოლუციონურ კანონიერების განმტკიცებისათვის დგას გაყინულ წერტილზე. პროკურატურის ხელი არსად სჩანს, მისი თვალები არას ხედავენ, ის კარჩაკეტილი მხოლოდ ქექავს საარქივო საქმეებს. არ ყოფილა არც ერთი მაგალითი, რომ პროკურატურას რაიმე ბოროტ-მოქმედება აღმოეჩინა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ორგანოს ან პიროვნების წინააღმდეგ აღედგრა სისხ. სამ. დევნა ვოლოკიტის ან ბიუროკრატიზმისათვის. მას არა აქვს არავითარი კავშირი სხვადასხვა ცენტრალური ორგანოების სარევიზიო კომისიებთან და არც არაფერი იცის მათი მუშაობის შესახებ, მას არ გამოუჩნდება, თუ რამდენად სწორედ ტარდება მიწის პოლიტიკეგია, თუ რამდენად სწორედ ტარდება მიწის პოლიტიკა და რამდენად კანონიერად ირჩევა საქმეები მიწისაკო-მისარტთან არსებულ საადგილმამულო საბჭოში, მან არ იცის, თუ რომელ ორგანოში რა კეთდება, როგორი მდგომარეობაა ეკონომიური და პოლიტიკური, რა დანაშაულებრივ მოვლენებს აქვს ადგილი, რა არის ამის სოც-ეკონომიური მიზეზები, და როდის რა ღონისძიება და მეთოდი საჭირო ყოველგვარ არანორმალურ მოვლენებების აღმოსაფხვრელად.

ამის გამო მას არა აქვს სათანადო აკტორიტეტი. ყოველივე ამის მიზეზი არის ზემოხსენებული უსისტემო-

* დისკუსიის წესით.

უგემო მუშაობა, თვით პროკურატურაში მოქმედებების სათანადო მოუმზადებლობა და უინიციატივობა და საჭირო ხელმძღვანელობის გაუწევლობა. ამისათვის საჭიროა, რომ პირველ ყოვლისა საპროკურატურა განყოფილება განიტვირთოს სასამ. საქმეებიდან და მიეცეს სრული უფლება ადგილობრივ პროკურორებს კანონით სარგებლობისა, რათა იმ სასამართლოების საქმიანობას, რომლების ტერიტორიალურ ფარგლებში ისინი მუშაობენ, თვითვე გაუწიონ ზედამხედველობა. ცენტრმა კი უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა მაზრებს არა ცირკულიარებით, არამედ სისტემატიური ცოცხალი კავშირით, ადგილზე ინსტრუქციების მიცემით და მათი საქმიანობის გამოკვლევით, უნდა გვახსოვდეს, რომ პროკურატურის მთავარი ამოცანა ისაა, რომ გადადგას სათანადო ნაბიჯი საერთო ზედმხედველობის სფეროში რევოლუციონური კანონიერების განამტკიცებლად და 15 პარტყრილობის დირექტივების შესასრულებლად არა სიტყვით, არამედ საქმით.

ს. ქავთარაძე.

შიდვა-გაშიდვა ცალკვით და ფასის გადახდის განაწილებით *)

(სამ. სამ. კოდ. 205¹—20⁸ მ.მ.)

III.

დოგმატიური მხრით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ქონება 205¹ მუხლში გათვალისწინებულ გარიგებით? შესაძლოა წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ქონება გამყიდველს ეკუთვნის და გადაცემულია მყიდველზე მხოლოდ გარიგების გადადების პირობით (41 მ.) ქონების მყიდველზე საკუთრების გადასვლა დაკავშირებულია იმ მომენტთან როცა მისი საფასური მთლიანად იქნება გადახდილი. ასეთი დასკვნა გამოყავთ იმ დებულებიდან, რომ: 1) ფასის გადახდის განაწილებით შეძენილი ქონების გასხვისება, დავირაება ან სხვა რაიმე გზით მესამე პირზე გადაცემა აკრძალულია და იწვევს პასუხისმგებლობას, როგორც ქონების მითვისება, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (ყოველ შემთხვევაში ასე იდგა საკითხი 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე), 2) უკეთუ მყიდველი გამყიდველს სამჯერ ზედი-ზედ არ გაისტუმრებს, უკანასკნელს, სხვათა შორის, შეუძლია მოითხოვოს ქონების დაბრუნება და 3) 205⁵ მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში საქონლის მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს განსაკუთრებული სასყიდელი ქონების სარგებლობისათვის.

ასეთი მსჯელობა არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული. პირველ-ყოვლისა ის დებულება, რომ ფასის განაწილებით შეძენილი ქონების გასხვისება იწვევს პასუხისმგებლობას, როგორც ქონების მითვისება, სისხლის სამართლის წესით, ზემოდ აღნიშნულ საკითხის გადაჭრისათვის მოკლებულია ყოველივე მნიშვნელობას.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ქონება, სამოქალაქო სამართლის საკითხია, ის გადაჭრილ უნდა იქნას მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლიდან გამომდინარე დებულებები ამისათვის არ გამოდგება; აქ უმნიშვნელოა, რა შედეგებს იწვევს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ასეთი ქონების გასხვისება, დასასჯელად არის იგი მიჩნეული თუ არა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართალი სხვაფრთვ უდგება საკუთრების საკითხს, ვიდრე სამოქალაქო სამართალი. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი აყენებს მოთხოვნათა მთელ რიგს საკუთრების უფლების დადასტურებისათვის, მაგალითად, მოსარჩლისაგან მოითხოვს, რომ მან დაამტკიცოს თავის უფლება იმ ქონებაზე, როგორც იქნა დარღვეული, სისხლის სამართლისთვის საკმარისია, რომ ბრალდებულის მხარეზე არ იყოს ამა თუ იმ ნივთზე საკუთრების უფლება. აქ დადასტურებული გარემოება, რომ ნივთი ბრალდებლისათვის არის სხვისი, თავის თავად ქმნის სათანადო უფლებას მოწინააღმდეგე მხარეზე, თუნდაც პროცესში გამოცხადებულმა მისმა წარმომადგენელმა არ შესძლოს თავის საკუთრების დადასტურება იმ ნივთზე, რაც დანაშაულის საგნად შეიქნა. ამით აიხსნება, რომ მაგალითად, ქურდობასთან დაკავშირებულ საქმეებში შესაძლოა ბრალდებულის დამნაშავეთ ცნობა და სამოქალაქო მოსარჩლის მოთხოვნის უარყოფა იმის გამო, რომ ქონებაზე უფლება არ ეკუთვნის იმ პირს, ვინც ამ შემთხვევაში სასამართლოს მიმართა. ამიტომ, თუ პეტრემ მოპარა ქონება ივანეს, რომელსაც თავის მხრივ ეს ქონება შეძენილი აქვს გაძარცვის საშუალებით, ივანე პასუხს აგებს გაძარცვისათვის, მაგრამ პეტრეც დამნაშავეა ქურდობაში, რამდენადაც მოტაცებული ქონება მისთვის სხვისია, მას არა აქვს ამ ქონებაზე არავითარი უფლება. ამას გარდა ზემოდ აღნიშნულ საკითხის დაკავშირება სხვისი ქონების მითვისებასთან უსაფუძვლოა კიდევ იმიტომ, რომ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი არ მოითხოვდა, რომ მითვისებული ქონება ყოფილიყო სხვისი, მაშასადამე იყო დაშვებული საკუთარი ქონების მითვისების შესაძლებლობა. რაც შეეხება 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსს, აქ თუმცა მითვისების საგნად აღიარებულია სხვისი ქონება და მაშასადამე უარყოფილია საკუთარი ქონების მითვისება, როგორც დასასჯელი ქმედობა, მაგრამ სამაგიეროდ ახალმა კოდექსმა ფასის გადახდის განაწილებით შეძენილი ქონების გასხვისება გამოჰყო მითვისებისაგან და ამ ქმედობიდან შექმნა ცალკე დელიქტი (184 მ.).

ამ რივად სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებები, რაც შესაძლოა სამოქალაქო სამართლის ამა თუ იმ საკითხს შეეხოს, ვერ დაედება საფუძვლად იმ საკითხის გადაჭრას, თუ ვის, გამყიდველს თუ მყიდველს, ეკუთვნის ქონება 205¹ მუხლში გათვალისწინებულ გარიგებაში.

არ შეიძლება აგრეთვე გამყიდველის საკუთრება გადაცემულ ნივთზე დასაბუთებულ იქნას იმ გარემოებით, რომ გამყიდველს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში უფლება აქვს მოსთხოვოს მყიდველს ქონების დაბრუნება, ვინაიდან საერთოდ ქონების დაბრუნების მოთხოვნა შე-

*) იხ. „საბჭოთა სამართლის“ № 18.

საძლოა მიმართულ იქნას მესამე პირზე არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა ქონება მომთხოვნელს ეკუთნის, არამედ მაშინაც, როცა ეს ქონება მას ოდესმე ეკუთნოდა, და 205¹ მუხლში აღნიშნულ დებულებას ქონების მოთხოვნის შესახებ აქვს სწორედ ამ უკანასკნელის შინაარსი.

არც იმ გარემოებას აქვს მნიშვნელობა მყიდველის საკუთრების უარყოფისათვის, რომ 205¹ მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში საქონლის მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს განსაკუთრებული სასყიდელი ქონების სარგებლობისათვის; ეს ვალდებულება, როგორც განმარტებულია სათანადო ორგანოების მიერ, უკავშირდება იმ გარემოებას, რომ კანონის მიხედვით მყიდველმა უნდა დაუბრუნოს საქონელი იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფებოდა ხელშეკრულების გაუქმების დროს, სასყიდლის გაცემა არის სწორედ ის კომპენსაცია, რომლითაც უნდა დაკმაყოფილებულ იქნას გამყიდველი იმის გამო, რომ საქონელი ჩვეულებრივი სარგებლობით უარესდება მყიდველის ხელში (იხ. Гр. Код. Р. С. Ф. С. Р. Коментар; под. ред. проф. Гойхбарга, 1925 г. стр. 275, п. 5).

ამ რიგად საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთნის ქონება 205¹ მ. გათვალისწინებულ ურთიერთობაში, გადაჭრილ უნდა იქნას სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კანონი ქონების ცალკობით და ფასის გადახდის განაწილებით ყიდვა-გაყიდვის შესახებ განსაკუთრებული კანონია და რომ მასში არ შეიძლება მყიდველის საზარალოდ შეტანილ იქნას რაიმე დამატებითი პირობები, ვიდრე ეს თვით კანონშია გათვალისწინებული (პირგაუტეხლობის ჯარიმა, ზარალის ანაზღაურება და სხვა). მაგრამ ამ ინსტიტუტის ასეთი თავისებურება სრულიად არ უარყოფს და არ აუქმებს სამოქალაქო სამართლის ზოგად დებულებებს, რომლის მიხედვით უნდა იქნას გადაჭრილი ამ განსაკუთრებულ კანონიდან გამომდინარე ესა თუ ის საკითხები, რამდენადაც თვით ამ კანონით არ არის ამ საკითხების შესახებ სხვა რამ დადგენილი. რამდენადაც ზემოდ დსმული საკითხი ფასის გადახდის განაწილებით გაყიდულ ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ სანივთო სამართლის საკითხია, მასზე პასუხი, ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ ნორმებში, რაც სანივთო ურთიერთობებს აწესრიგებს.

სამ. სამ. კოდ. 66 მუხლის თანახმად შეძენის საკუთრების უფლება ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთზე წარმოიშობა ხელშეკრულების ქმნის წამიდან, ხოლო გვარობითი ნიშნით (რიცხვი, წონა, ზომა) განსაზღვრულ ნივთზე მისი გადაცემის წამიდან, აქედან გამომდინარეობს, რომ თუ ცალკობით და ფასის გადახდის განაწილებით ყიდვა-გაყიდვის საგნად შეიქმნა ინდივიდუალურად გამოყოფილი ნივთი, მყიდველის საკუთრებას უფლება წარმოიშობა სათანადო ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ხოლო თუ ასეთი ხელშეკრულების საგანია რიცხვით, ზომით ან წონით განსაზღვრული ნივთი, შეძენის საკუთრების უფლება უკვე არის ამ ნივთის გადაცემის წამიდან და ის გარემოება, რომ ფასის გადახდა განაწილებულია, საკუთრების უფლების საკითხზე ვერავითარ გავლენას ვერ

იქონებს. ამიტომ ლიტერატურაში გამოთქმულ რეზერვებზე, თითქოს შეძენის საკუთრების უფლება გაყიდულ ნივთზე წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა ვადაზე გადახდილი თანხა გაყიდულ ქონების საერთო ღირებულების 40%-ზე ნაკლებია, უნდა იქნას საგნებით უარყოფილი. თუ ეს ასეა, რით აიხსნება ის გარემოება, რომ მესაკუთრე (მყიდველი) შეზღუდულია ნივთის გასხვისების უფლებაში? ეს, როგორც განმარტებულია ლიტერატურაში (იხ. Раевичъ, Законъ о купле. продаже с разсрочкой продажы ЕСЮ за 1923 г. № 42—43), არის განსაკუთრებული ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს გამყიდველს არაკეთილსინდისიერი და დაუდევარი მყიდველისაგან, და მას საკუთრების საკითხთან არა აქვს არავითარი კავშირი. ამ რიგად საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ქონება 205¹ მუხლში გათვალისწინებულ გარიგებით, გადაჭრილ უნდა იქნას სამოქალაქო სამართლის კოდექსის 66 მუხლის მიხედვით.

ამ დებულებით წყდება თავის თავად საკითხი იმის შესახებ, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ისეთ შემთხვევას, როდესაც მყიდველმა გაასხვისა შეძენილი საქონელი ფასის მთლიანად გადახდამდე, რჩება ეს გასხვისების აქტი კანონიერ ძალაში, თუ არა? რამდენადაც ცალკობით და ფასის გადახდის განაწილებით შეძენილი საქონლის მესაკუთრე არის მყიდველი, მას საერთო წესით შეუძლია გადასცეს ეს საქონელი მესამე კეთილსინდისიერ პირს; ამ შემთხვევაში ის, რა თქმა უნდა, პასუხს აგებს ს. ს. კ. 184 მუხლის მიხედვით, ვინაიდან ასეთია კანონის სპეციალური დადგენილება, მაგრამ ეს გარემოება ვერ გააბათილებს საქონლის მესამე პირზე გადაცემას, ეს აქტი რჩება კანონიერ ძალაში, არავის არ შეუძლია მოითხოვოს ეს საქონელი კეთილსინდისიერი შეძენისაგან. თუ ამ შემთხვევაში ჩვენ დავადგებით წმინდა იურიდიულ თვალსაზრისს, სახელმწიფო ორგანოსაც, როცა ის არის საქონლის პირველი გამყიდველი, არ შეუძლია ისარგებლოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 60 მუხლით და მოითხოვოს საქონელი კეთილსინდისიერი მყიდველს; მაგრამ ზოგიერთი კომენტატორები სახელმწიფო ინტერესის დაცვის მიზნით სცნობენ შესაძლებლად უარყონ ამ შემთხვევაში ფორმალური საფუძველი და ისეთ პირობებში, როცა საქონლის პირველი გამყიდველი არის სახელმწიფო ორგანო, სარგებლობენ სამ. სამ. კოდ. სამოქმედოდ შემოღების კანონის 5 მუხლით, რომლის მიხედვით სამოქმედო კოდექსის ვაფართოებით განმარტება შეიძლება, როდესაც ეს საჭიროა სახელმწიფოს ინტერესის დაცვის თვალსაზრისით იხ. (Гр. Код. და С. Ф. С. Р. Коментарий под редакций проф. Гойхбарга, 1925 г., стр. 271).

სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა ცალკობით და ფასის გადახდის განაწილებით შეძენილი საქონელი ისეთ პირზე იქნა გადაცემული, რომელმაც იცის, რომ ამ საქონლის გამასხვისებელი პირი დანაშაულობრივ ქმედობის ჩამდენია; ასეთ შემთხვევაში დისიმბა საკითხი მესამე პირის მონაწილეობის შესახებ იმ დანაშაულში, რაც საქონლის პირველად შეძენის მიერ იქნა ჩადენილი. ამას რა თქმა უნდა თან მოჰყვება, როგორც ნივთის დაბრუნება, ისე ქმედობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.

იმ დებულებიდან, რომ 205¹ ნუ¹ლში გათვალისწინებულ გარიგებით მყიდველი არის საქონლის მესაკუთრე, გამომდინარეობს, რომ ქონების გადაცემის მომენტიდან, ან გარიგების ქმნიდან პასუხისმგებლობა საქონლის გაფუჭებისა ან განადგურებისათვის მყიდველს ეკისრება, და რომ მასვე ეკუთვნის საქონლის შემოსავალი ამავე დროიდან გარიგების გაუქმებამდე.

ამ დებულების საფუძველზე წყდ ბა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია გამყიდველის მდგომარეობა მაშინ, როცა მესამე პირი მიაქცევს გადახდევინებას ფასის განაწილებით შეძენილ ქონებაზე? რა ხან გამყიდველი არ არის ქონების მესაკუთრე, ის ვერ აღძრავს საკითხს ამ საქონლის აღწერილობითი ნუსხიდან გამორიცხვის შესახებ და არც იმ საკითხსაც, რომ ეს საქონელი მისი საკუთრებათ იქნას ცნობილი. მაგრამ გამყიდველს აქვს უპირატესი უფლება მყიდველისაგან გადახდევინების მოთხოვნისა, ამიტომაც საქონლის მყიდველი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს გამყიდველს, რომ საქონელზე გადახდევინებაა მიმართული. ამ მოვალეობის ანგარებით დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წასით.

ი. აფაქიძე.

პასუხი წერილისა „პროსტიტუცია რომოვს დანაშაული“ *

ამ ვრცელი წერილის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების ზნეობრივობის დასაცავად საჭიროა ბრძოლა მეძავ ქალებთან სოციალური დაცვის ღონისძიების ან სხვა რამ განსაკუთრებული სასჯელის შეფარდებით. ამასთან ავტორს დიდათ მოსწონს და მიზანშეწონილად მიაჩნია ისეთი განსაკუთრებული სასამართლოების და დაწესებულებების დაარსება, რომელთა მიზანი იქნება მეძავის დასჯა და იმ პირობების და მიზეზების შესწავლა (ნუ თუ ავტორისათვის ეს ჯერ გამორკვეული არ არის?), რამაც აიძულა ქალი პროსტიტუციაზე. უმაღლესად ფაქიზი ზნეობის მაგალითად ავტორს მოჰყავს ამერიკის ბურჟუაზიული საზოგადოება მისი „სახელგანთქმული“ ღამის სასამართლოებით, რომელნიც ერთგულად იცავენ ბარ-რესტორანებში ქეიფითა და გარყვნილებით მოქანცულ მილიარდერების და მილიონერების ძილსა და მოხვეწებას. ავტორის აზრით, პროსტიტუცია¹თან ბრძოლის სისტემა, მიღებული ამერიკაში ყველაზე უფრო შეფერება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ, სოციალ-პოლიტიკური წესწყობილებას და იღვას. და ამიტომ იგი გვიჩვენებს მივბადით ამერიკის დიდ ქალაქებს — ნიუ-იორკს, ბოსტონს, ჩიკაგოს და ფილადელფიას. სანამ არსებით ძხარეს შეგვხებოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია ერთი რამის აღნიშვნა. საქმე იმაშია, რომ წერილის ავტორს ვენერიულ ავადმყოფობათა საკითხი თითქოს გამოუყვია და მასზე მსჯელობს ცალკე, პროსტიტუციის საკითხთან დაუკავშირებლად, ამასთან ისე გამოდის, თითქოს ვენერიული ავადმყოფობა ხელს უწყობდეს პროსტიტუციის განვითარებას. ვენერიული ავადმყოფობის გავრ-

ცელებაა შედეგი პროსტიტუციისა და არა პირიქით. პროსტიტუციასთან ბრძოლა გულისხმობს ვენერიული ავადმყოფობათა გავრცელებასთან ბრძოლას. ნუ თუ შეიძლება სერიოზულად იმის მტკიცება, რომ თითქოს შეიძლებოდეს ვენერიული სენით დაავადების შიშით ხელი ავადებინოთ მეძავს „საშოვნის ძებნაზე“. გასაოცარია წერილის ავტორის პატეტური წამოძახილი: „უფასო ვენერიული დისპანსერიდან პროსტიტუცია¹მდე—პროსტიტუციიდან დისპანსერამდე. მეძავს არ ეშინიან დაავადების, რადგან მისთვის მხად არის სახელმწიფო უფასო დისპანსერი“. ავტორის სიტყვით გამოდის, თითქოს მთავარ უბედურებას უფასო დისპანსერი შეადგენდეს და დისპანსერი რომ არ ყოფილიყო, არც პროსტიტუცია იქნებოდა. ამასთან ავტორი უსაყვედურებს ჩვენ კანონმდებლობას და ამავე დროს თავს უქონება ჩეხო-სლოვაკებს და დანიას, სადაც შემოღებულია არა უფასო (ეს თურმე მკვნიბელი ყოფილა!), არამედ იძულებითი მკურნალობა, რომლის შეუსრულებლობას მოსდევს განსაზღვრული სანქცია. „თქვენ შტაგზაზე (?) ხართ შეჩერებული, აი ჩეხო-სლოვაკიაში და დანიანი იძულებითი მკურნალობა მაინც არის შემოღებული“. შემდეგ აი თვით ამ სტრიქონების დამწერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ იძულებით მკურნალობაც იგივე სიბოროტეა, როგორც უფასო, რადგან იძლევა საწინააღმდეგო ნაყოფს, ე. იგი ზრდის პროსტიტუციას. მაშასადამე საშველი არ არის არც უფასო, არც იძულებითი მკურნალობით.

აქ ავტორი მთლად გაება წინააღმდეგობათა ქსელში. და ბოლოს, მას თავის წერილში—„პროსტიტუცია როგორც დანაშაული“ გადასაწყვეტი აქვს სწორედ ეს ძირითადი საკითხი და რა შუაშია აქ ვენერიული ავადმყოფობასთან ბრძოლის მეთოდი.

შემდეგ, ავტორის აზრით, საბჭოთა კანონები სქესობრივი დანაშაულის შესახებ მოკლებულია ლოდიკას, რადგანაც თვით პირდაპირი სიბოროტე (პროსტიტუცია) არ იდევნება, ამავე დროს კი კანონი სასტიკად სდევნის მაქანკლობას და გარყვნილობის ბუდის შენახვას. მაშასადამე, მსჯელობს ავტორი, გამოდის, რომ ისჯება არა მთავარი „უამნაშავე“ (მეძავი), არამედ „ხელის შემწყობი“ ელემენტი, რომელც მხოლოდ ემბარება „დანაშაულის“ ჩადენას. ვინ უახრა ავტორს, სად, რომელ კოდექსში სწერაა, რომ ჩვენ მაქანკლებსა და გარყვნილების ბუდის პატრონებს ესჯათ იმისათვის, რომ ვსთქვათ, მეძავმა „ა“-მ სქესობრივი კავშირი დაიჭირა მოქ. ბ“-სთან? განა ჩვენ მათ პასუხისმგებში ვაძლევთ იმის გამო, რომ „ა“ გაჭირვებამ აიძულა მიეყიდნა თავისი სხეული „ბ“-სთვის? სრულიადაც არა! ჩვენი კანონი სდევნის ამ „ხელის შემწყობ“ ელემენტს იმისათვის, რომ იგი, ბოროტად იყენებს რა ქალის ეკონომიურად უწყვეტ მდგომარეობას, ხდის მას ექსპლოატაციის საგნად, შუამავლობს „მოთხოვნილების“ და „წინადადების“ შორის და უწყობს „მხარეთ“ შესაფერ გარემოებას—ყველა აქედან კი წარმოსდგება პარაზიტული ხელობა უშრომით გამდიდრება. მაქანკლობა თავისი ხასიათით რამოდენადმე წააგავს „ცოცხალი“ საქონლით ვაჭრობას, რაც დღევანდლა¹დე შერჩენია „მაღალ ზნეობიან“ ამერიკას, იმ განსხვავებით კი,

*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 16.

რომ პირველ შემთხვევაში „საქონელი“ იყიდება თვით მსხვერპლის თანხმობით, მეორეში კი უამისოდ. მაქანკლობა ან გარყვნილობის ბუდის შენახვა სრულიად დამოუკიდებელი დანაშაულია, იგი არ წარმოადგენს ძირითადი „დანაშაულის“ აუცილებელ დამატებას, რადგანაც ამ „დანაშაულის“ დამთავრება (სქესობრივი კავშირი) უშუაშაველოთაც შეიძლება. განა შეუძლია ვინმეს სერიოზულად ამტკიცოს, რომ, მაქანკლობა რომ არ ყოფილიყო, არც პროსტიტუცია იქნებოდაო. განა მაქანკლობა არ წარმოიშვა პროსტიტუციისაგან, სწორედ ისევე, როგორც მთელი რიგი ქონებრივი დანაშაულისა წარმოიშვა უშუაშვრობისა და სიმშობისაგან? როგორ შეიძლება ორი სულ სხვადასხვა ცნების—პროსტიტუციის და მაქანკლობის—ერთმანეთში არევა? სრულიად ულოლიკოა ავტორის მსჯელობა და ეწინააღმდეგება საბჭოთა კანონების დედააზრს. ავტორს „დროულად“ მიაჩნია აღნიშნულ საკითხზე სჯა ბაასი და მის მიმართ გარკვეული პოლიტიკის გატარება. ამ „წყეული“ მდგომარეობისაგან თავის დახშევა, ავტორის აზრით, შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში, ამერიკის მზავისად ისეთი დაწესებულებების—რეფორმატორიურიუმების (საპატიმრო) შემოღებით, სადაც მეძავი „დიდი“ ხნობით იქნება მოთავსებული „გამოსასწორებლად“. ვინ იცის, იქნებ ავტორის მიერ მარშალ გენრის ვალუას გახსენება, რომელმაც წყალში დაახრჩო 800 მეძავი, მოასწავებს აღნიშნულ რეფორმატორიუმებზე უფრო „რადიკალურ“ ღონისძიებათა მიღებას?

რა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ წარმოშობა — პროსტიტუცია?

რა გზით უნდა სწარმოებდეს ბრძოლა პროსტიტუციისათან ჩვენი დროის სოციალ-პოლიტიკურ პირობებში?

„თანამედროვე პროსტიტუცია ემყარება კლასიურ პრინციპს. ეს პრინციპი აერთიანებს ეკონომიურად მძლავრ და სუსტ კლასებს, იგი სპობს ადამიანური სოლიდარობის პრინციპს სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა შორის, ასუსტებს სქესობრივ ურთიერთობაში პასუხისმგებლობის იდეას და უარჰყოფს წმინდა ადამიანურ მოპყრობას ერთი სქესისა მეორისადმი. შეძლებულ კლასებში ქორწინება ეწირება მსხვერპლად კერპს, რომელსაც უწოდებენ „ქორწინების შესაფერ მდგომარეობას“, ამას მოსდევს ქორწინების გადადება ძრიელ დიდი ხნით, ეს კი თავის მხრივ იწვევს ქორწინების გარეშე ურთიერთობის დაქერას, სიყვარულის ყიდვა-გაყიდვას. მოთხოვნილება იწვევს წინადადებას, ხოლო ესეთი წინადადების მომცემი არის ეკონომიურად და პოლიტიკურად ყოველავე უფლებას მოკლებული ქალი, რომელიც იძულებულია გაჰყიდოს თავისი სხეული“.

ეკონომიური და პოლიტიკური უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის, რაც შედეგია ექსპლოატატორთა კლასის ბატონობისა—აი ეს არის პროსტიტუციის ძირითადი მიზეზი. ქალი, მოკლებული პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებს ყველა აქედან გამომდინარე შედეგით, მოკლებული შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართველობაში და გაჰყიდოს თავისი შრომა, და გადაქცეული მხოლოდ სქესობრივი ჟინის დამაკმა-

ყოფილებელ საგანად, ბოლოს და ბოლოს იძულებული ხდება საარსებო სახსრის მოსაპოებლად, იწყოს თავისი სხეულის გაყიდვა.

განა უშველა რამე საფრანგეთს 800 მეძავის დახრჩობამ? არაფერი. საფრანგეთში პროსტიტუცია არაჩვეულებრივი ტემპით იზრდება. პროსტიტუცია მოისპობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალი განთავისუფლდება პოლიტიკური და ეკონომიური მონობის ბორკილებიდან. კაპიტალისტურმა ქვეყნებმა მთელი თავისი სისტემით ხელი შეუწყვეს პროსტიტუციის პარდაპირ ზღაპრულ განვითარებას, შექმნეს საზოგადოების გახრწინისა და გარყვნილების კერები და ამავე დროს, ნამდვილი ფარისევლური პირმოთნობით, ცდილობენ როგორმე თავიდან მოიშორონ არა პროსტიტუცია, არაშედ მეძავი ქალები; „დაე იყოს პროსტიტუცია, ამბობს კაპიტალისტური წესწყობილება, მაგრამ ისე კი, რომ მეძავი თვალში არ გვეჩხირებოდეს“. „დაე მეძავმა რაც უნდა ის ჩაიღინოს, გაირყენას, გარყენას სხვებიც, ოღონდ ეს არა ხდებოდეს საჯაროთ, „კეთილშობილი საზოგადოების“ თვალწინ“. ამისათვის ბურჟუაზია აწესებს, სამარცხენოდ, საროსკიპო სახლებს, აწესრიგებს განსაკუთრებული რეგლამენტით, მეძავი ქალების „მოლავწიობას“, რასაც ზოგიერთი თანაგრძნობით მოგვითხრობს ავტორი წერილისა „პროსტიტუცია როგორც დანაშაული“. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ვერც საროსკიპო სახლები, ვერც მეძავი ქალების „მოლავწიობის“ რეგლამენტაცია, ვერც სხვა რამ, ავტორის მიერ ნაჩვენები რეპრესიული ღონისძიება, ოდნავაც ვერ შეაფერხებს, ვერ შეამცირებს პროსტიტუციას, რომელსაც საუფუძლად ეკონომიკა და პოლიტიკა უდევს? ბურჟუაზიულ ქვეყნებში პროსტიტუციის წინააღმდეგ წამოებული ბრძოლის მეთოდებს საბჭოთა სახელმწიფო უპირისპირებს სულ სხვა სისტემას, იგი ებრძვის არა მეძავ ქალს, არაშედ თვით პროსტიტუციას, როგორც ისეთ სოციალურ მოვლენას, რომელიც წარმოშობილია გარკვეული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზებით.

მილიციის ორგანოთათვის პროსტიტუციისათან საბრძოლველად მიცემულ ინსტრუქციაში (4 და 5 მუხ.) ნათქვამია: „მილიციამ მთელი თავისი ენერგიით და გულმოდგინეობით უნდა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა გარყვნილების ბუდეთა აღმოჩენის საქმეში, მაგრამ ამავე დროს მას არ შეუძლია მიიღოს რეპრესიული ღონისძიება უშუალოდ ცალკე მეძავის მიმართ. შეიძლება მხოლოდ საჭიროების მიხედვით, მეძავის ჩაბმა „საქმეში მოწმიდ“. ამ ინსტრუქციის შენიშვნაში ნათქვამია: „ის მეძავი, რომელსაც 16 წლამდე არ მიუღწევია გაიგზავნება განათლების სახ. კომისარიატის სათანადო ორგანოში“— და არა რეფორმატორიუმში, როგორც ამას ვხედავთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში. შემდეგ ვკითხულობთ: „მილიციის ორგანოებს უნდა ახსოვდეთ, რომ მეძავი დასდგომია პროსტიტუციის გზას ქონებრივი და ყოფაცხოვრების პირობების გამო, ამიტომ მილიციის ყოველი მომუშავე რომელსაც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის ასრულების დროს მოუხდება მეძავთან შეხვედრა, ვალდებულია თავდაპირილად და ზრდილობიანად მოე-

პყრას, მას და არაავითარი უხეშობა არ დაუშვას. გარკვეული და ნათელია ჩვენი შეხედულება ამ საკითხში. ასევე გარკვეული და მარტივია ჩვენი ბრძოლის მეთოდებიც. სხვა რაღა „ნათელი“ პოლიტიკას მოითხოვს ავტორი (იქნება გაამერიკება?) — ეს ალბად თვით უწყის. ჩვენ კანონებში გამოთქმულია გაბატონებული მშრომელი კლასის შეხედულება, ისევე როგორც ამერიკული ღამის სასამართლოები ცხად-პყოფენ ამერიკის „კეთილშობილი საზოგადოების“ ინტერესებს. ჩვენ უარყვავით ექსპლოატაცია და ექსპლოატატორთა კლასი. ქალი მამაკაცთან თანასწორ იღებს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში. ეკონომიურად იგი მამაკაცის თანასწორია, მაგრამ კულტურულად ქალთა წონა ჩამორჩენილი და ნაკლებად განვითარებულია. დღევანდელ დღეს, კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალ ხანაში, ჩვენ კიდევ მოგვეპოვება კლასური წინააღმდეგობა. კულტურული მონობისაგან თავდახვეული ქალი თვითვე მოუღებს ბოლოს პროსტიტუციას. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ პროსტიტუცია დაიღუპება იმ წესწყობილებასთან ერთად, რომელმაც იგი წარმოშვა, ე. ი. კაპიტალისტური წესწყობილების დამხობასთან ერთად: არაავითარი კანონმდებლობით და რეპრესიებით არ შეიძლება პროსტიტუციის აღმოუხვრა. და ვისაც ეს ვერ შეუვნა, ვისაც მშრომელთა ბატონობის მეთერთმეტე წელში, მიზანშეწონილად და საჭიროდ მიანჩნია კანონმდებლობის გზით პროსტიტუციასთან ბრძოლა — ეს ნიშნავს ცხოვრების რთული მოვლენების კულში მოქცევას.

6. სააკოვი.

რაციონალიზაცია და გაძლიერებული სალიკვიდაციო*).

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ 1927 წლის მაისის 31 გამოსცა დადგენილება, რომლითაც დაწესდა გამონაკლისი შრომის კოდექსის 47 მ. წერტილი „ა“ გათვალისწინებული შემთხვევებიდან. ხსენებული მუხლის ძალით თანამშრომელს უნდა მიეცეს თვითური ჯამაგირის ნახევარი (ე. ი. 2 კვირის) გასასვლელი, როდესაც ხდება ლიკვიდაცია სრული ან ნაწილობრივი რაიმე ორგანიზაციისა.

ა/წ. 31 მაისის კანონი კი აწესებს გაძლიერებულ გამოსავლელს 3,2 და 1 თვის ჯამაგირის ფარგლებში იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ლიკვიდაცია მუშა-მოსამსახურისა რაციონალიზაციის ნიადაგზედ.

როგორც მაისის კანონში, აგრეთვე შემდგომი გამოცემულ დადგენილებებში იმავე რაციონალიზაციის შესახებ სხვადასხვა შემთხვევებში და დაწესებულებებში, ყველგან განმარტებულია თვით ეს ახალი ტერმინი — რაციონალიზაცია.

საკავშირო სახკომსაბჭოს კანონები რაციონალიზაციის შესახებ შეეხება სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთ, რომელნიც არსებობენ ან საკავშირო, ან რესპუბლიკის ან და ადგილობრივ ბიუჯეტზე და სამეურ-

ნო ანგარიშზე, საქციო საზოგადოებათ სახელმწიფოს ჭარბი კაპიტალით და კოოპერატივებს. გაძლიერებული გასასვლელი ჯილდო უნდა მიეცეს იმ მუშა-მოსამსახურებს, რომელნიც დათხოვნილი იქნებიან ამ დაწესებულებებში მომხდარი რაციონალიზაციის გამო, ხოლო ეს რაციონალიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ დაწესებულება, თუ საწარმო ამცირებს ხარჯებს ტენიკის და ორგანიზაციის გაუმჯობესობის და აგრეთვე მმართველობის აპარატის სტრუქტურის, მუშაობის სისტემის და მეთოდის გამარტივების ნიადაგზე.

აქედან აშკარაა, რომ რაციონალიზაციას აქვს მხოლოდ ორი საფუძველი: ა) ტენიკის გაუმჯობესობა და ბ) აპარატის გამარტივება.

როგორც რუსეთში, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკაში საპროფესიო კავშირი, შრომის კომისარიატი და ამ საქმისთან დაახლოებული ზოგიერთი პირნი იჩენენ ტენდენციის ამ კანონების განვრცობით გაგებისას და ხშირად, ჩვენის აზრით, რაციონალიზაციად მიანჩნათ ისეთი ლიკვიდაცია, რომელიც გათვალისწინებულია შრ. კოდ. 47 მუხლით.

სანოსამართლო დაწესებულებებს, შრომის კომისარიატებს და პროფკავშირებს არ მოეპოვებათ პრაქტიკა ამ საკითხის შესახებ, ე. ი. სინამდვილეში კონფლიქტი არ მომხდარა ადმინისტრაციასა და დათხოვნილ შორის მხოლოდ ჟურნალ „Вопросы труда“-ში დაიბეჭდა რამოდენიმე წერილი სადისკუსიო ხასიათისა, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკისათვის ეს საკითხი საინტერესოა იმიტომ, რომ ცხოვრებამ ერთ შემთხვევაში უკვე დასვა იგი და სადაოთ გახადა და მომავალშიაც შესაძლებელია დაისვას.

ზოგიერთს ჰგონია, რომ რაციონალიზაციას, თანახმად კანონებისა, ექნება ადგილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც რესპუბლიკის საკავშირო მასშტაბით ხდება რაიმე ორგანიზაცია ან საფინანსო, ან სავაჭრო, ან საამშენებლო და სხვა მეურნეობაში. მაგალითად, რაციონალიზაციად, თანახმად რაციონალიზაციის კანონებისა, მიანჩნათ ის, რომ საკავშირო მასშტაბით ან ცალკეულ რესპუბლიკებში სრულიად ისპობა სავაჭრო ორგანიზაციები და მთელი ვაჭრობა გადაეცემა მუშათა მთლიან კოოპერატივს. ან კიდევ. ისპობა ყველგან სააღმშენებლო საქციო საზოგადოებანი და მთელი აღმშენებლობის საქმე გადაეცემა „ცენტრალურს საბინაო სააღმშენებლო ამხანაგობას“ (მაგ. Центрострой).

მართლაც, ამ შემთხვევებში შეიძლება მოხდეს ერთგვარი რაციონალიზაცია: ა) მოსპობა პარალელიზმისა ბ) შემოკლება მმართველობის აპარატისა გ) ტენიკის გაუმჯობესებაც, მაგრამ ეს მაინც არ იქნება ის რაციონალიზაცია, რომელიც გათვალისწინებული აქვთ დღემდე გამოცემულ კანონებს რაციონალიზაციის შესახებ, ვინაიდან ამ კანონებს გათვალისწინებული აქვთ რაციონალიზაცია მოცემულ დაწესებულებაში ან დაწესებულებათა მთელს ჯგუფში, მათხ აპარატში, მათხ ტენიკაში. მაგრამ, როდესაც ხდება ლიკვიდაცია თვით ორგანიზაციის მთლიანად, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირისა, აქ შეუძლებელია გამოყენება არსებული კანონებისა რაციონალიზაციის შესახებ.

*) დისკუსიის წესით.



ასე ესმოდა ყოველგან, ყველას ეს კანონები, სანამ-
დის საკავშირო შრომის კომისარიატმა 1927 წლის სექ-
ტემბრის 27 არ გამოსცა განმარტება (დაიბეჭდა „Извес-
тия“ НКФ СССР № 11), სადაც ნათქვამია, რომ კანონი
გაძლიერებული გასასვლელი ჯილდოს შესახებ შეიქმნა;

ა) იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება გავრთიანება
ან გადაჯგუფება (გადანაწილება) ფუნქციებისა სხვადასხვა
დაწესებულებათა, როგორც ერთი ორგანიზაციის, აგრე-
თვე რამოდენიმე ორგანიზაციის ფარგლებში;

ბ) როცა ხდება ლიკვიდაცია ან შემოკლება ფუნქ-
ციებისა მათი გადაცემით მთლიანად ან ნაწილობრივ
სხვა ორგანიზაციებზე ან განყოფილებებზე;

გ) როცა სრულიად ესპობა ან ერთმევა ფუნქციები
დაწესებულებას მისი მთლიანი რაციონალიზაციის გამო.

აშკარაა, ამ განმარტებით გაფართოვდა ფარგლები
არსებული კანონებისა რაციონალიზაციის შესახებ, მაგ-
რამ ეს გაფართოება არ უნდა მიდიოდეს იქამდე, რომ
სრულიად შეიცვალოს აზრი თვით კანონისა.

მოყვანილი განმარტებაც სრულიად არა სცელის
რაციონალიზაციის აზრსა და მიზანს. ცხადია, კანონის
შეცვლა მხოლოდ კანონზე შეუძლია და ცირკულიარე-
ბით, ან განმარტებებით კანონის საზღვრების გაწევა არ
შეიძლება, ასე რომ, თუ ამ განმარტებამდე რაციონალი-
ზაციის კანონი გვესმოდა მხოლოდ ისე, როგორც ზევით
აღვნიშნეთ, ცხადია ამ განმარტების შემდეგაც ამნაირად-
ვე უნდა გვესმოდეს, მით უმეტეს რომ ცალკე რესპუბლი-
კებისათვის საკავშირო შრომის კომისარიატის „განმარ-
ტება-ცირკულიარები“ სავალდებულო არ არის, ვინაიდან
კონსტიტუციით საკავშირო მასშტაბით იცემა ხოლმე ძი-
რითადი დებულებანი, მაგალითად კოდექსი შრომისა,
მაგრამ დეტალებს, განმარტებათა და ცირკულიარების
გამოცემის უფლება აქვთ მოკავშირე რესპუბლიკებს.

მაგრამ, მივიღოთ ჩვენს რესპუბლიკაშიაც სავალდე-
ბულოდ ხსენებული განმარტება და მაშინაც, ვიმეორებთ,
არ დაგვჭირდება კანონის აზრის გამოცვლა.

ეს განმარტება ზოგიერთს ასე ესმის: ვთქვათ, სა-
ქართველოში არსებობს რამოდენიმე სააქციო საზოგა-
დოება სახელმწიფო ჭარბი კაპიტალით, რომელნიც ეწე-
ვიან ყოველნაირს ვაჭრობას. ერთ-ერთი საზოგადოების
აქციონერთა საზოგადო კრებამ დაადგინა (სულ ერთია
რა მოსაზრებით: ვაკოტრების გამო, რაიმე ფინანსიური
შევიწროების გამო და სხ.) მოხდეს ლიკვიდაცია ამ სა-
აქციო საზოგადოებისა და მოახდინა კიდევც, მაგრამ
ამით რესპუბლიკაში ვაჭრობა, რასაკვირველია, არ მოს-
პობილა და სხვა საზოგადოებებმა დაიწყეს ან განაგრძეს
ვაჭრობა. თურმე აქ მომხდარა რაციონალიზაცია და მუ-
შა-მოსამსახურებებს უნდა მიეცეს 3—2—1 თვის გაძლიე-
რებული ჯამაგირები!

ეს შემცდარი აზრია. განმარტებაში ლაპარაკია
ფუნქციების გადაცემაზე, გადანაწილებაზე, გაუქმებაზე ან
ერთ დაწესებულებაში ან რამდენიმეში ურთიერთშორის რ
არა თვით ორგანიზაციების ლიკვიდაციაზე, შეერთება-
ზე, გადაცემაზე.

როდესაც ჩვენ ვამბობთ: რაციონალიზაცია მოხდაო,
ისმის კითხვა—სად? ამ დაწესებულებაში, ან ამა და ამ

დაწესებულებებში. მეორე აზრის მომხრენი კი ამბობენ:
რესპუბლიკაში, კავშირშიო. ჩვენი აზრით, ასეთი გაგება
ეწინააღმდეგება არსებულ კანონებსაც და ხსენებულ
განმარტებასაც.

სხვა საკითხია, დაცული უნდა იქნეს თუ არა მუშა-
მოსამსახურის ინტერესი. რასაკვირველია, დიდი უზედუ-
რობაა უმუშევრობა უმუშევრისთვისაც და სახელმწიფო-
სათვისაც, მაგრამ ამ მოსაზრებით არ შეიძლება კანონს
ვათქვევინოთ ის რასაც იგი არ ამბობს. ამ მიზნებით ახა-
ლი კანონი უნდა გამოიცეს, ხოლო არსებულს, სანამ არ
შეცვლილა, თვისი აზრი უნდა შეუჩინოს.

ზოგნი იქამდისაც კი მიდიან, რომ ფუნქციების გა-
დაცემა-განაწილებად მიაჩნიათ ის, რომ სალიკვიდაციო
კომისიამ მეორე ორგანიზაციას მიჰყიდა მაღაზიები სა-
ქონლიანათ! გამოდის, რომ თუ სალიკვიდაციო კომისია
საჯარო ვაჭრობით თითო-თითოდ გაჰყიდის სალიკვიდა-
ციო ქონებას, ეს არ იქნება ფუნქციის გადაცემა, ხოლო
თუ მთლიანად გაჰყიდვს გამართული წარმოება, ეს ფუნქ-
ციის გადაცემა ყოფილა და გაძლიერებული გასასვლელი
უნდა აძლიოთ მოსამსახურებს. აშკარა შეუსაბამობაა!..
საინტერესოა ამ საკითხის გაშუქება დისკუსიის წესით.

ს. დადიანი.

დაცველთა კოლეგიის „კოლექტივიზა- ცია“ *)

უკანასკნელ დროს საკმაოდ მსჯელობენ და სწერენ
დამცველთა კოლეგიის კოლექტივიზაციის შესახებ: ამხ.
ვარძიელმა, ოფიციალურ გაზეთის ფურცლებზე და „საბ-
ჭოთა სამართალში“ (№ 13) მოათავსა თეზისები ამ სა-
კითხის შესახებ, ამხ. ამბ. ურუშაძემ თათბირი მოიწვია,
სადაც დადგენილება იქნა მიღებული, ეხლა ამხ. ტერ-
გრაგორიანმა თავის პროექტი დამც. კოლეგიის კოლექ-
ტივიზაციის შესახებ წიგნაკათაც გამოუშვა.

საჭიროა გავერკვიოთ ამ საკითხში.
თავდაპირველად ამა თუ იმ რეფორმის გატარების
დროს აუცილებელია რეფორმის დედა-აზრის, არსის ნათ-
ლად წარმოდგენა. განზრახულ რეორგანიზაციას უნდა
ჩამოვამოროთ მყვირალა ფრაზები და საღად და საღათ
წარმოვიდგინოთ იგი.

ჩვენი აზრით, ბევრ შემთხვევაში მაღალი ფრაზების
ხმარება იქ, სადაც მაღალი ცნება არ გამოხატავს ში-
ნაარსს, მანებელია, რადგან უადგილოთ დიდი ცნებების
გამომხატველ სიტყვების ხმარება ახურდავებს ამ ცნებას
და სახელს უტეხს მას.

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიაც ასეა.
არსებითად, მოკლეთ და მკაფიოთ რას შეიცავს
დამც. კოლეგიის განზრახული რეორგანიზაცია?—უნდა
შესდგეს დამც. კოლ. წევრების კოლექტივი, ბიურო,
ბიუროს წევრები იმუშავენ ერთად და შემოსავალს თა-
ვიანთ შორის, კვალიფიკაციის მიხედვით, გაინაწილებენ.
ეს არის და ეს ამ რეორგანიზაციის ძარღვი.

*) დისკუსიის წესით.

მეორე რა არის აქ ახალი, რა არის აქ ისეთი რასაც უნდა შეეწიროს მოწონებულნი, დაკანონებული? საბჭოთა სასტუმრის სინამდვილეში არსებობენ უამრავი სხვადასხვა მიზნით შემდგარნი ერთეულები, რომელთა წევრები ერთად მუშაობენ და შემოსავალს თავიანთ შორის ინაწილებენ, ე. ი. ნადები, არტელები.

დამც. კოლეგიის განზრახული რეორგანიზაცია სწორედ ასეთი ნადის—დამც. კოლ. წევრების ნადის—დაარსების წინადადებას შეიცავს.

არც მეტი და არც ნაკლები. ამიტომ „კოლექტივიზაცია“ აქ უადვილთაა ნახმარი. ჩვენ შეთვისებული გვაქვს ამ დიდ ცნების—„კოლექტივიზმის“ ქვეშ სულ სხვა ვიგულისხმობთ და ამიტომ არსებითად ამ ცნების არტელზე დახურდავებას არავითარ ინტერესი არ ჰმოითხოვს. ეს მხოლოდ სახელს უტეხამს დიდ საკაცობრიო იდეალს.

წამოყენებულ პროექტს უნდა უწოდოთ მისი ნამდვილი სახელი:

დამც. კოლეგ. **არტელიზაცია, განადება.** ეს იქნება სწორი. ამასთანავე უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ საერთოდ ნადი, არტელი არ არის ახალი მოვლენა; არტელები ძველიდანვე ცნობილია რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენში ჯერ კიდევ 80 წლებში შესდგა ნამდვილი მუშური არტელები სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არავის საწინააღმდეგო არ ექნება, რომ დამც. კოლეგ. წევრებმა, ვისაც სურს, შეადგინონ ასეთი ნადი, არტელი, იმუშაონ ერთად, აწარმოონ საქმეები და შემოსავალი გაიყონ თავიანთ შორის. ეს იქნება ერთი იმ ნადთაგანი, რომელნიც ბლომად არსებობენ ქ. ტფილისში და საერთოდ საბჭოთა კავშირში. მაგრამ საქმე ის არის, რომ დამც. კოლეგ. წევრების არტელიზაციის მომხრეთ სურსთ დაარსონ ყველაზე ცუდი არტელი აი როგორ.

როგორც მოვიხსენიეთ, არსებობენ სხვადასხვა არტელები; ისინი სხვადასხვა საქონელს ან თავიანთ ტექნიკურ ცოდნას და გამოცდილებას აწვდიან მსურველთ. მაგრამ საბჭოთა კავშირში არ არსებობს არც ერთი ისეთი არტელი, რომლისადმი მიმართვა სავალდებულო იყოს ვისმისათვის. მოქალაქენი, თუ ორგანიზაციები თავისუფალნი არიან არჩევანში ამა თუ იმ არტელის არსებობა არ ზღუდავს მოქალაქეს ან ორგანიზაციას თავის კერძო უფლებების განხორციელების დროს. არავისათვის სავალდებულო არ არის მიმართოს ამ ნადს, და არა სხვას.

დამც. კოლეგ. წევრთა ნადი არტელი-კი პროექტით უნდა იქნეს ისეთი ორგანიზაცია, გარეშე რომლისა მოქალაქეს არ ექნება არც ფორმალური უფლება და არც ფაქტიური შესაძლებლობა მიმართოს არჩევით განსაზღვრულ წრეს თავის კერძო უფლების განსახორციელებლად და დასაცავად და ამ წრიდან ამოირჩიოს თავის წარმომადგენელი, დამცველი.

ამით დამც. კოლეგ. წევრთა ნადი არსებითად განსხვავდება ყველა სხვა არსებულ ნად-არტელებისაგან: ეს ნადი ლახავს კერძო უფლებებს.

დასაშვებია ასეთი განსხვავება? შეეფარდება ასეთი ნადის არსებობა თანამედროვე ეგ. წოდ. „ნები“-ს ხაზს, თუ არა?—აი, მთავარი საკითხი.

თუ ასეთი ორგანიზაცია განსაზღვრულ ნაწილში უარყოფს და ეწინააღმდეგება იმ საერთო სოციალ-ეკონომიურ ხაზს, რომელსაც ახორციელებს დღევანდელ მონეტში საბჭოთა ხელისუფლება, მაშინ ასეთი პროექტი უდავოდ უარყოფილი უნდა იქნეს.

ჩვენის აზრით, ასეთი ნადის არსებობა სავსებით უარყოფს „ნები“-ს ხასიათს და არის ერთგვარი გადახრა სამხედრო კომუნისმისაკენ, რაც გადაჭრით უარყოფილია და დაგმობილი კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმების მიერ.

რა არის „ნები“? რა შესაძლებლობას იძლევა ის?

— „ნები“ დღევანდელ პირობებში სცნობს შესაძლებლად და საჭიროდ კერძო-უფლებრივ სექტორის არსებობას კანონით ნაგულისხმევ პირობებში. ამ საფუძველზეა დამყარებული საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსის არსებობა. წაართვით „ნებს“ ეს თვისება, და მოისპობა როგორც „ნები“, ისე სამოქალაქო სამართლის კოდექსი. „ნები“ ანიჭებს მოქალაქეს უფლებას განსაზღვრულ ფარგლებში, მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში,—მაშასადამე სცნობს, რომ ამ უფლების სუბიექტს აქვს შესაძლებლობა თავისი კანონიერი ინტერესების დაცვისა.

ამავე დროს-კი პროექტი ართმევს მას ამ უფლებას და ეუბნება მას: „აი, ნადი, გინდა, არ გინდა მიმართე მას შენი უფლების დასაცავად“, ე. ი. პროექტი ართმევს მოქალაქეს იმას, რასაც მას აძლევს საბჭოთა სისტემა, და ამით ამ შემთხვევაში მახინჯდება ეს სისტემა და მისი ძირითადი პრინციპები.

მართალია, „ნები“ გარდამავალი საფეხურია, განსაზღვრულ მომენტში მთლიანი ფრონტი, საწარმოო ძალთა განვითარებასთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს ამ საფეხურიდან უმაღლეს შემდგომ საფეხურზე გადასვლა,—მაგრამ, როგორც თვით კომპარტიის ცეკას პლენუმის დადგენილება გვეუბნება, ასეთი მომენტი ჯერ არ დამდგარა, ის მზადდება ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის თანდათანობით მაღალ საფეხურზე ასვლის გზით, და ეს არ არის ერთი და ორი წლის საქმე.

ასეთ პირობებში სად არის იმის საფუძველი, რომ „ნებს“ ამ საკითხში ზურგი შევაქციოთ, და წამოვაყენოთ ამა თუ იმ ორგანოს ისეთი რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც არ გამოიმდინარეობს საწარმოო ძალთა დღევანდელი განვითარებიდან?

მაპატიეთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ წამოყენებული პროექტი დამც. კოლეგ. წევრთა არტელიზაციის შესახებ სრულებით არ შეიცავს საკითხისადმი მარქსისტულ მიდგომას. ეს პროექტი ნაროდნიკულ მეთოდებზეა აგებული. მარქსისტულად სამართლის ნორმები და აგრეთვე ორგანოები ეკონომიკის ზედნაშენია. ასეა ამ შემთხვევაშიაც.

ე. ი. ლენინის არა ერთხელ გაუფრთხილებია ის ამხანაგები, რომელნიც „ნები“-ს წინააღმდეგნი იყვნენ და მარცხნით უსაფუძვლოდ და უდროოდ იხრებოდნენ, რომ



არ დაავადმყოფებულებიყვნენ მემარცხეობით და ანგარიში გაეწიათ კერძო სექტორისათვის დღევანდელ საწარმოო ძალთა განვითარების საფუძველზე, კერძოთ რუსეთის გლეხურ სინამდვილესათვის.

ჩვენ გვგონია, რომ ვ. ი. ლენინის გზა სწორია და მისგან გადახვევას თანამედროვე პირობები არ მოითხოვს; კერძო უფლებების სუბიექტს უნდა შერჩეს შესაძლებლობა დაიცვას თავის უფლებები, ამოირჩაოს დამცველი, გახადოს ის პასუხისმგებელი თავის წინაშე საქმის წარმოებისათვის, და არა იძულებული გახდეს მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ იძულებით შემდგარ მონოპოლიურ ერთეულს თავის სურვილის წინააღმდეგ და თავის ინტერესების საზიანოთ. ეს იქნება კერძო უფლებების და სამართლიანობის შელახვა ისე, რომ საჯარო ინტერესი ვერაფერს ვერ მოიგებს, წინააღმდეგ, კიდევ წააგებს,— ბიუროს წევრების პასუხისგება ერთგვარად გაითქვიფება ბიუროს საერთო საქმიანობა-პასუხგებაში.

ამიტომ, ჩვენის აზრით, დამცველთა კოლეგიის წევრთა არტელიზაციას თავი უნდა დავანებოთ.

მაგრამ იმავე დროს სწორია ის დებულება, რომ დამც. კოლეგიის ორგანიზაციას ესაჭიროება რეორგანიზაცია. მართალია, რომ ეს ორგანიზაცია ვერ არის ჩაბმული თანამედროვე საზოგადოებრივ საქმიანობაში ისე, როგორც მოითხოვს მომენტი,—რომ ნაკლებად მოსჩანს ამ წრეში სოციალური ხაზები.

ამ მხარეს, დიად, უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ეს არის მთავარი.

ამისათვის-კი სრულებით არ არის საჭირო ამ ორგანიზაციის დაშლა და დატეხა. საჭიროა პრაქტიკული უნარი და გეგმიანი საქმიანობა, რომელიც უნდა გამოიჩინოს დამც. კოლეგიის პრეზიდიუმმა.

არა თუ ჩვენი, საქართველოს დამც. კოლ. პრეზიდიუმი, მთელ საბჭოთა კავშირის დამცველთა კოლეგიის ხელმძღვანელ ორგანოებს ემჩნევათ ერთგვარი დამბლა დაცემულობა, უმოქმედობა, პასივობა. ეს გარემოება იწვევს კავშირის (საშტაბით დამც: კოლეგიებზე შემოტევის დღეს გაზეთს ისე ვერ გადაათვალიერებთ, რომ არ ამოიკითხოთ კავშირის ან რესპუბლიკის მაშტაბით ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების ყრილობის, კონფერენციების, მოხსენებების ამბავი. იკრიბებიან ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, ბეითლები და სხვადასხვა.

სადაა დამც კოლეგიის წევრები, სადაა მათი ყრილობები, მოხსენებები, თანამედროვე უფლებრივ-თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების გაშუქება და სხვადასხვა. ნუ თუ ასეთი საკითხები არ არის?—უამრავი, ფრიად საჭირო და აუცილებელი, მაგრამ მეთაური არსადაა.

სადაა საჯარო ლექციები, მოხსენებები, რეფერატები, მუშათა წრეებში იურიდიულ-საკითხების გარკვევა,— ერთი სიტყვით, სადაა საზოგადოებრივი საქმიანობა?—ამასაც მეთაური და ინიციატორი უნდა.

დამც. კოლ. პრეზიდიუმის საქმიანობა არ შეიძლება ამოწურულ იქნეს საწევრო გადასახადის შეკრებით და საღისე. საქმეების გარჩევით. არ კმარა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შეკრება ოფიციალური ანგარიშის მო-

სასმენად. ეს „მოღვაწეობა“ პრეზიდიუმს აქტივში ვერ ჩაეთვლება.

სხვას რომ თავი დავანებოთ, სად არის იურიდიული საზოგადოება, სად გაქრა, რამ ჩაყლაპა?

თუ საქარ. სახალ. მეურ. უმაღ. საბჭოსთან არსებულმა „საწარმოო სამართლის დარგში მომუშავე იურის-კონსულტებმა ბიურო“-ს ხელმძღვანელებმა შესძლეს მთელი წლის განმავლობაში ფრიად საინტერესო მოხსენებების მოწყობა, კამათი და სასარგებლო საქმიანობა,—ნუ თუ ჩვენმა პრეზიდიუმმა და იურიდიულ საზოგადოების ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს ერთი მოხსენება მაინც გაემართათ?

აი, რას უნდა მიექცეს ყურადღება, და ამ მხრით მართლა რომ დამც. კოლეგიას ესაჭიროება რეორგანიზაცია. არტელიზაციას-კი თავი უნდა დავანებოთ.

ვიფიქროთ საქმიან რეორგანიზაციაზე.

გრ. ვიორგაძე.

დაცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის 1)

(ამხ. ვარძიელის თეზისებისა გამო)

გაზეთ „კომუნისტ“-ში და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ჟურნალის „საბჭოთა სამართალი“-ს 13 ნომერში გამოქვეყნებულა იყო ამხ. ვარძიელის თეზისის საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თეზისის გამოქვეყნების დღიდან საკმაოდ დრომ განვლო, დღემდის რაიმე აზრთა გაცვლა-გამოცვლას თეზისის შესახებ არ ქონია ადგილი, რაც არ უნდა ჩათვალოს ნორმალურ მოვლენად.

თავში ხაზი უნდა გაუსვათ ერთ გარემოებას: ხშირად გაიგონებთ მოსახლეობის ნაწილისაგან შეხედულებას, რომ დამცველთა კოლეგიის არსებობა თანამედროვე პირობებში სავსებით მიუღებელიაო, რომ საბჭოთა სასამართლოს შესწევს უნარი დამცველების გარეშედაც გამოარკვიოს ამა თუ იმ ქვემარტების ვითარება და ამრიგად მან გამოიჩინოს სათანადო მსჯავრი და სხვა ასეთიბი. მაგრამ იმდენად, რამდენად საბჭოთა ადვოკატურის მიუხედავად დანიშნულებას შეადგენს საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობა და მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ თითქოს აღარ იყოს საჭირო დამცველთა კოლეგიის არსებობა.

როგორც ვიცით ჯერჯერობით არც საბჭოთა და არც პარტიის უმაღლეს ორგანოებს არ გამოუთქვამთ აზრი იმის შესახებ, რომ უკვე დროა გაუქმდეს დამცველთა ინსტიტუტი. სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, რომ მმართველი პარტია და ხელისუფლების ორგანოები მოითხოვენ დამცველთა კოლეგიის გაჯანსაღებას და სხვა, რასაც ნათლად ადასტურებს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ მიღებული

1) დისკუსიის წესით.

კ. აერო რეზალიუციის 11 მუხლი, რომელიც ამბობს შედეგად: ვინაიდან დამცველთა კოლეგიას აქვს მნიშვნელოვანი როლი საბჭოთა მართლმსაჯულების საქმეში და ვინაიდან საჭიროა, ამ ორგანიზაციის შემადგენლობის გაუმჯობესება, და მისი ავტორიტეტის აწევა მშრომელ მოსახლეობის თვალში, წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკების იუსტიციის სახკომისარიატებს მიიღონ ზომები ამ ორგანიზაციის გაწმენდისათვის მავნე ელემენტებისაგან და ამოცანად დაისახონ დამცველთა კოლეგიის შევსება მუშურ-გლეხურ ელემენტებით“.

ამრიგად, როგორც ხედავთ ამიერ-კავკასიის მასშტაბით ფოიად ავტორიტეტული ორგანო მოითხოვს დამცველთა კოლეგიის არა გაუქმებას, არამედ მისი გაცხრილვას და მისი გაჯანსაღებას. მაგრამ დღეს დამცველთა კოლეგიის თანამედროვე ორგანიზაციისა და მეთოდების შენარჩუნებით შეიძლება თუ არა, რომ დამცველთა კოლეგიამ მართლაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საბჭოთა მართლმსაჯულებაში, რომ ის იყოს ერთ-ერთი დარაჯთაგანი რევოლიუციონური კანონიერების გატარების ფრონტზე, დაუახლოვდეს მშრომელ მოსახლეობას და რაც მთავარი არის, შეაფასოს თავის რიგები, მუშურ-„გლეხურ ელემენტებით“, როგორც ამაზე მიგვითითებს ა.კ. საოლქო კომიტეტი.

მე გვინდა ყველა ზემო დასმულ კითხვებზე შეიძლება თამამად გავცეთ უარყოფითი პასუხი და აა რატომ. როგორც ვიცით არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დარგი სახელმწიფოებრივი წყობისა, სადაც თავისი ახალი ცხოველმყოფელი სხივი არ შეეტანოს ოქტომბრის რევოლიუციას, თითქმის მთელი ძველი, რევოლიუციის წინა დროის მომქმედი აპარატები დაანგრია ოქტომბრის ქარიშხალმა, მაგრამ დამცველთა კოლეგიის სტრუქტურა, მისი ორგანიზაციის სახეობა კი დღემდე დარჩა ხელუხლებელი. საბჭოთა კავშირში ნაკლებად თუ მოინახება ისეთი ორგანოები, ან რაიმე სახის სხვა დაწესებულებანი და შენაერთი, რომელსაც იმდენი ძველი ორგანიზაციული სახე შერჩენოდეს, როგორც ეს მემკვიდრეობით შერჩა თანამედროვე დამცველთა კოლეგიას, აქ დამცველთა კოლეგიის მთელი შემოქმედება დამყარებულია მხოლოდ ინდივიდუალურ მომენტებზე, რაც მიუღებელია საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

სწორედ ის გარემოება, რომ ვეჭილი დაშორებულია კოლექტიურ პრინციპს, რომ თვითეული ვეჭილი ინდივიდუალურად მოქმედობს და აწარმოებს საქმეს ამა თუ იმ კლიენტისას, როდესაც მთელი ეს პროცედურა ვაჭრული ელფერით არის მოცული, ქმნის არასასურველ მდგომარეობას დამცველთა კოლეგიისათვის.

ეს კი ის არის, რომ დღეს მოსახლეობის მშრომელთა დიდი ნაწილი უარყოფითად უყურებს დამცველთა კოლეგიის საქმიანობას საერთოდ.

ამის მთავარი მიზეზი იმაშია, რომ დამცველთა კოლეგიის შენარჩუნებული აქვს ძველი კაპიტალისტური სახე. რა განა ასეთ პირობებში შეიძლება სერიოზული ლაპ. აკი იმის შესახებ, რომ მართლაც დამცველთა კოლეგიას შესწევს ძალა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საბჭოთა მართლმსაჯულებაში? განა ასეთ პირობებში

დამცველთა კოლეგია შესძლებს დაუახლოვდეს მოსახლეობას და ხელი შეუწყოს რევ. კანონიერების განმტკიცებას? როდესაც დამცველებს უარყოფითად ახასიათებს მოსახლეობის დიდი ნაწილი, შეიძლება ლაპარაკი მისი მუშურ-გლეხურ ელემენტებით გაჯანსაღებაზე? ყველა ამაზე უნდა მიეცეს უარყოფითი პასუხი. და სწორედ იმისათვის, რომ თანამედროვე საბჭოთა ადვოკატურა არა მარტო სიტყვით, არამედ მთელი თავისი შინაარსით და მისწრაფებით დაუახლოვდეს არსებულ ხელისუფლებას და, რომ მან თავის დროზე და სათანადოდ შეასრულოს ყველა ის დავალება, დახმარების გაწევა სასამართლოსათვის, მოსახლეობასთან დაახლოვება და მისთვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა, რევოლიუციონური კანონიერების გატარებისათვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობა და თავის რიგების მუშურ-გლეხურ ელემენტებით შევსება, რომელიც საც აკისრებს თანამედროვე მომენტი, საჭიროა შეცვლილ იქნეს თანამედროვე სოციალ-გკონომიურ პირობების მიხედვით დამცველთა კოლეგიის დღევანდელი ინდივიდუალისტური ორგანიზაცია და მის ნაცვლად გატარებულ იქნეს ცხოვრებაში პროექტში გათვალისწინებული ორგანიზაცია.

ი. გულორდავა.

ცრუ მოწმობა 1)

ბოლო ხანებში ცრუ-მოწმობამ სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს ფართო ხასიათი მიიღო. ეს არა ნორმალური მოვლენა აფერხებს მართლ მსაჯულების საქმის სწორ მსვლელობას, ართულებს სასამართლოს ისედაც რთულ და საპასუხისმგებლო მუშაობას.

ერთ ერთ სასამართლო სესიაზე მაზრაში საქმეზე მკვლელობის შესახებ, მოწმეებმა განაცხადეს: ერთმა, რომ გამოძიებელს მისცა განზრახ ცრუ ჩვენება, ვითომდაც ის არ იყო შემთხვევის მნახველი, და ეს ჩაიდინა იმ მოსაზრებით, რომ არ დაებარათ იგი სასამართლოს სხდომაზე, მეორემ, გამოძიებელს მისცა ცრუ ჩვენება, ვითომდაც მან თავის თვალთ დაინახა, რომ ბრალდებულმა თოფი ესროლა დაზარალებულს, ვინაიდან იყო გაჯავრებული ბრალდებულზე, რომელსაც მოუკლავს, მოწმეს ძალი და სხვა ამდაგვარი. ფრიად მავნე მოვლენას აქვს ადგილი არა მარტო სოფლებში, არამედ ქალაქებშიდაც და ამ სენით შეპყრობილნი არიან ზოგიერთი შეგნებული მოქალაქენიც.

მაგალითად, ერთ საქმეზე მკვლელობის შესახებ, რომლის განსახილველად მოწყობილი იქნა საჩვენებელი პროცესი და რომლის გარჩევას ესწრებოდა უამრავი რიცხვი მშრომელებისა, გამოურკვეველი დარჩი საკითხი, თუ რა პირობებში და როდის შეიარაღდა ბრალდებული დანით, რომლითაც მას მოუკლავს დაზარალებული. ამ გარემოების გამორკვევა ქონდა დიდი მნიშვნელობა საქმისათვის, ვინაიდან ბრალდებული ამტკიცებდა, რომ დანა ეკუთვნოდა ბინის პატრონს და უკანასკნელმა მისცა იგვასალესათ; მას ეს დანა ქონდა რამოდენიმე დღე და რ

1) დისკუსიის წესით.



დესაც დაზარალებულმა მას მძიმე შეურაცყოფა მიაყენა, მან შეამჩნია ჯიბეში დანა, ელვის სისწრაფით ამოიღო იგი ჯიბიდან და სასიკვდილოთ დასჯრა დაზარალებული.

მოწმებმა ბინის პატრონმა და მეორე მდგურმა კომკავშირელმა-ქალმა დაადასტურეს ეს გარემოება წინასწარ გამოძიებაზე დაკითხვის დროს. საქმეში დაგროვილ მხილებათა მიხედვით ბრალდებული იყო მიცემული პასუხისგებაში განზრახ მკვლელობისათვის.

სასამართლოს სხდომაზე კი მოწმემ კომკავშირელმა გულწრფელად აღიარა, რომ დანა ბრალდებულმა, მოწმის თანდასწრებით აიღო მაგიდიდან რამდენიმე საათის წინ მკვლელობამდე და თუ მან მისცა გამოძიებელს ცრუ ჩვენება, აიხსნება ბინის პატრონის რჩევით რომელსაც უნდოდა დაზარალება გაეწია ბრალდებულისათვის. ამ ჩვენებამ სავსებით ფარდა ახადა საქმეს, ნათელჰყო სურათი მკვლელობის და ბრალდებულმა რა თქმა უნდა, მიიღო ღირსეული სასჯელი.

საუბედუროთ, ბევრ შემთხვევებში, მოქალაქენი, რომელნიც მოწვეულნი არიან მოწმეებათ, იეიწყებენ თავის მოვალეობას აღიარონ სიძართლე. ისინი სხვადასხვა მოსაზრებით ცდილობენ, შეიყვანონ სასამართლო შეცდომაში, ამხინჯებენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას, ადასტურებენ იმ გარემოებას, რომლების დამსწრეც არ ყოფილან და სხვა.

ეს არა ნორმალური მოვლენაც ცრუ მოწმობაში უორკეცებს სასამართლოს, მუშაობას სიძართლის გამოაშკარავების სფეროში. ამ მოვლენასთან ბრძოლა სასტიკია. სისხლის სამართლის კოდექსის 95 მუხლით დაწესებულია ცრუმოწმობისათვის სოციალური დაცვის ღონისძიება — ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ რეპრესიის დაწესება ბრძოლას ამ მავნე მოვლენასთან ვერ გაადვილებს უუ კი არ იქნა გადადგმული სათანადო ნაბიჯი ცრუმოწმობის თავის დროზე გამოსაშკარავებლად. ასეთ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს შემდეგი.

რათა ბრძოლა ცრუ-მოწმობასთან იყოს უფრო ნაყოფიერი და ამ ბრძოლას მოყვეს სასურველი შედეგები, მიზანშეწონილათ იქნება, რომ იმ სასამართლომ, რომელმაც გამოაშკარავეა მოწმის ცრუ ჩვენება, იმავე სხდომაზე გაასამართლოს ცრუ ჩვენების მიმცემი. ეს ზომა მიადწევს სათანადო შედეგებს იმ მხრივ, რომ იქვე დამსწრე საზოგადოება, მოწმეები, მხარეები, გამოწვეულნი საქმეზე იმავე სხდომაზე გაიგებენ, თუ როგორ სჯის საბჭოთა სასამართლო ცრუ-მოწმობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არავითარი აზრი არ აქვს ცრუ-მოწმობის შესახებ საქმის გამოყოფას, როგორც ამას მოითხოვს ს. ს. ს. კ. 314 მ., რა ხან სასამართლო ყოველმხრივ განიხილავს საკითხს ცრუ მოწმობის შესახებ და გამოიტანს კატეგორიულ დასკვნას, რომ მოწმემ მისცა სასამართლოს ცრუ ჩვენება, არ უნდა იყოს არავითარი დაბრკოლება, რომ იმავე სასამართლომ გაასამართლოს ცრუ-მოწმე. თუ კი ის მოწმე რომელიც განაცხადებს უარს ჩვენების მოცემაზე, კანონის ძალით შეიძლება იქნეს გასამართლებული იმავე სასამართლოს მიერ თანახმად ს. ს. კ. 93 მ. რატომ არ შეიძლება იმავე სასამართლომ გაასამართლოს ისიც, ვინც სასამართლოს ცრუ-ჩვენება მისცა.

რით უნდა გავამართლოთ საქმის გაქი ნურე? მელსაც იწვევს ცრუ მოწმის შესახებ საქმის გამოკ. თუ? თანახმათ ს. ს. ს. კ. 314 მ. სასამართლო გამოიტანს რა დასაბუთებულ დადგენილებას მის შეახებ რომ აიწმემ მისცა სასამართლოს ცრუ ჩვენება, მისცემს მას პასუხისგებაში და გამოყოფს საქმეს. როგორ ხდება ეს ტენიკურათ?

სახ. სასამართლოს, ანუ გამომძიებლის სათანადო სასამართლო უგზავნის თავისი დადგენილებისა და სხდომის ოქმის ასლს ამა თუ იმ მოწმის ცრუ ჩვენებისთვის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. სასამართლოს წევრები ხომ არ შეიძლება გამოწვეულ იქნეს მოწმეებათ დასაბუთებულათ იმ გარემოებისა რომ მოწმემ მისცა სასამართლოს ცრუ-ჩვენება. მაშ, რა ახალი გარემოება უნდა გამოარკვიოს სასამართლომ, ანუ გამომძიებელმა, რომელსაც გადაეცა საქმე ცრუ მოწმის შესახებ. ვთქვათ სასამართლომ, მაგალ., რომელიმე საქმის განხილვის დროს იცნო მოწმის ჩვენება, ცრუ-ჩვენებათ, უკუაგლო იგი და სხვა მხილებათა უქონლობის გამო, გაამართლა ბრალდებული-განა დასაშვებია, რომ ამ მოწმეებმა, რომლების შესახებ საქმე იქნა გამოყოფილი, ამტკიცონ გამომძიებლისა ან სასამართლოს წინაშე, რომ მათი ჩვენებანი სავსებით შეფერებოდენ სიძართლეს. თუ კი იქნება მიღებული ამგვარი მტკიცებანი, ამით გამოეცლება სიმტკიცე იმ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ აქტს, რომელსაც განაჩენი წარმოადგენს, სასამართლომ, რა თქმა უნდა დიდის სიფრთხილით უნდა მოეპყრას საკითხს ამა თუ იმ მოწმის ჩვენების ცრუ ჩვენებათ აღიარების შესახებ. მან ყოველმხრივ უნდა ასწონოს საქმის ყველა გარემოება, და თუ ამ უკანასკნელის განხილვით რაიმე უტყუარ მტკიცებებით დადასტურებულ იქნება, რომ მოწმემ განზრახ ცრუ-ჩვენება მისცა სასამართლოს შეუძლია იგი გაასამართლოს.

ამ რიგათ, იმავე სასამართლოს რომელსაც მოწმემ ცრუ ჩვენება მისცა, უნდა მიეცეს უფლება იქვე იმავე სხდომაზე გაასამართლოს ცრუ მოწმე ამას მოითხოვს მართლმსაჯულების და ცრუმოწმობასთან ბრძოლის ინტერესები.

მის. თუმანიშვილი.

სტარკინოლოგიის განსალისათვის თვით მასალა

Н

- Неразумение, неразуметь — შეუგნებლობა
- Нервный — ნერვული
- Нерешительность — გაუბედაობა
- Нерешительный — გაუბედავი
- Нерозыскание — უპოვნელობა
- Несвоевременный — უდროო
- Несвоевременно — უდროოდ
- Несгораемый — უწვადი
- Несменяемость — შეუცვლადობა
- Несменяемый — შეუცვლადი
- Несмотря на это... — ამის მიუხედავად, მიუხედავად ამისა

Несоблюдение — დაუცველობა
 Несовершеннолетие — არასრულწლოვანობა, უწლოვანობა, უსაკობა
 Несовершеннолетний — არასრულწლოვანი, უწლოვანი, უსაკო
 Несовершенный — უსრული, ნაკლოვანი
 Несовершенство — უსრულობა, ნაკლოვანობა
 Несовместимость — შეუთავსებლობა
 Несовместимый — შეუთავსებადი
 Несовизмеримость — უთანაზომობა
 Несовизмеримый — უთანაზომო
 Несомненный — უეჭველი
 Несообразность — შეუსაბამობა
 Несообразный — შეუსაბამო
 Несоответствие, несоответственность — შეუფერებლობა
 Несоответствующий — შეუფერებელი
 Несостоявшийся — შეუძღვარი
 Несостоятельность — უსახსრობა, უძღვებობა, ვერშემძლეობა
 Несостоятельный — უსახსრო, უძღვები, ვერშემძლე
 „ должник — ვერშემძლე მოვალე
 Неспособность (половая) — ცვედნობა
 Неспособность (вообще) — უნიჭობა, უუნარობა, უგერგილობა
 Неспособный — ცვედანი; უნიჭო, უუნარო, უგერგილო
 Несправедливость — უსამართლობა
 Несправедливый — უსამართლო
 Несравненный — უებარი, შეუდარი
 Несущественный — არარსებითი, უარსებითო
 Несущественность — არარსებითობა, უარსებითობა
 Несуществующее — არარსებული, არარსი
 Несчастный случай — უბედური შემთხვევა
 Нетленность — უზრუნადობა, უზრუნელობა
 Нетождественность — არაიგივებადობა
 Неточность — უზუსტობა
 Неуважение — უპატივმგებლობა, უპატივცემლობა
 Неудача — მარცხი, რიალი
 Неудавшийся — გამოუმდგარი
 Неудовлетворение — უსიამოვნება
 Неуместный — უადგილო
 Неумышленный — განუზრახველი
 Неуплата — გარდუხდელიობა
 Неуспех — წარუმატებლობა
 Неуспешно — წარუმატებლად
 Неустойка — საუპირო, უპირობის ჯარიმა
 Неусточная запись — საუპირობო ბარათი
 Неустойчивость — უმდგრადობა
 Неустойчивый — უმდგრადი
 Неустрашимый — უშიშარი
 Нечестный — უპატიოსნო, უნამუსო
 Неявка — გამოუცხადებლობა
 Неясность — უცხადობა
 Неясный — უცხადი
 Ниже сего — ქვემოთ ამისა
 Нижеследующий — ქვეშემდგომი
 Нижеозначенный — ქვემოაღნიშნული
 Нижеподписавшийся — ქვემოთ ხელისმომწერი
 Нижепоименованный — ქვემოსახელდებული

Нижеуказанный — ქვემოჩვენებული
 Нижеупомянутый — ქვემოხსენებული
 Нижний — ქვემო, ქვედა
 Ни за что — არაფრის გულისათვის, არას გზით
 Изменный — ქვენა
 Изменные побуждения — ქვენა გრძნობები
 Низость — სიმდაბლე
 Испровергать, испровержение — დამხობა
 Исходящая ветвь — დაღმავალი შტო
 Исний — უმდარესი (ხარისხი), უმდაბლესი, უქვედაესი
 Исний передел — უმდაბლესი საზღვარი
 Ичтожность — ბათილობა; არარაობა
 Ичтожество — არარა, არარაობა
 Ичтожная сделка, договор — ბათილი გარიგება; ხელშეკრულობა
 Ишний — მათხოვარი, გლახა
 Ишество, ишествовать — მათხოვრობა, გლახაობა
 Новация — ნოვაცია
 Новацировать — ნოვაცირება
 Новобранец — ახალწვეული
 Ножны — ქარქაში
 Номер — ნომერი
 Номинал — ნომინალი
 Номинальный — ნომინალური
 Номинально — ნომინალურად
 Норма — ნორმა
 Нормальный — ნორმული, ნორმალი
 Нормально — ნორმალად, ნორმულად
 Нормировать — ნორმირება
 Нормированный труд — ნორმირებული შრომა
 Нотариальный — სანოტარო, ნოტარული
 Нотариат — ნოტარიატი
 Нотариус — ნოტარი
 Ночлег — ღამედგომა, ღამისთევა
 Ночлежный — ღამისათევი
 Нрав — ზნე
 Нравственность — ზნეობა
 Нравственный — ზნეობითი, ზნეობრივი
 Нужда — გაჭირვება, გასაჭირი (მიჭირს, გასაჭირი მაქვს...)
 Нужда — საჭიროება
 Нуждаться в чем... — მესაჭიროება, მჭირდება, მეჭირვებარა...
 Нуль — ნული
 Номер — ნუმერი
 Нумерация — ნუმერაცია
 Нумеровать — დანომრვა
 Нумерованный — დანომრული
 Неказуемость — დაუსჯადობა
 Неказуемый — დაუსჯადი
 Настоящий — აწმყო (დრო), აწინდელი (მდგომარეობა)
 მდგომარე (წელიწადი)
 Недостает мне — მაკლია, მესაკლისება
 Необходимости первой предметы — პირველი გარდუვალობის საგნები



იურიდიული დახმარება

კითხვა:

ჩვენი ოჯახი შესდგება 7 სულისაგან: დედა, მამა, ოთხი და და ერთი ძმა. ჩვენ დები გარდა ერთისა ჩვენივე წრომით ავიზარდენით და გავთხოვდით და მშობლებისაგან არავითარი დახმარება არ მიგვიღია მიუხედავთ იმისა, რომ სანამ გავთხოვდებოდით შეძლებისდაგვარათ მათ ვეხმარებოდით. მშობლების ოჯახიდან ჩვენ არ მიგვიღია არაფერი მზითის სახით. გეკითხებით, ვაქვს თუ არა უფლება მოვითხოვოთ მშობლებისაგან გასამზითებელი ქონება. ამასთან დავსძენთ, რომ ყველაზე ბოლოს გათხოვილმა დამ 1927 წელში გაიტანა ოჯახიდან თავისი წილი.

დები არობელიძენი.

პასუხი:

არსად კანონში არ არის გათვალისწინებული მშობლების მოვალეობა ქალიშვილის გამოუყოს საკუთარ ქონებიდან წილი (მზითის სახით) გათხოვებისას ან გათხოვების შემდეგ. ასეთი წილის გამოყოფა მშობლების ნებასურვილზეა დამოკიდებული. ამ გარემოებით აიხსნება ის რომ ყველაზე გვიან გათხოვილმა დამ მიიღო მშობლებისაგან ნაწილი უკანასკნელთა ქონებისა. მაგრამ თუ თქვენი მშობლების ოჯახი კომლს წარმოადგენს და თქვენ ამ კომლში წევრებათ ირიცხებოდით გათხოვებამდე, ამ შემთხვევაში თვითიურს თქვენგანს ისეთივე უფლება გქონდათ კომლის ქონებაზე, ე. ი. იმ ქონებაზე, რომლის დანიშნულებაა ემსახუროს ოჯახის, კომლის მეურნეობას, როგორც ამ კომლის თვითიურს დანარჩენ წევრს. ამიტომ გათხოვებისას თქვენ შეგეძლოთ წილის გამოყოფა მოკეთხოვით. ასეთი უფლება თქვენ ამ უმადაც შეგიძლიათ განახორციელოთ, უკეთუ დღიდან ამ კომლიდან გასვლისა არ გასულა სამი წელი. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მოკლებულნი ხართ შესაძლებლობას ასეთი მოთხოვნა წარუდგინოთ თქვენი მშობლების კომლს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ თქვენი მშობლების კომლის ყველა წევრის თანხმობით გამოგეყოს თქვენ წილი კომლის ქონებიდან, მიუხედავად იმისა თუ ხსენებული ვადა მოთხოვნის წარდგენის უკვე გასულია.

კითხვა:

შესაძლოა თუ არა, სამ. სამ. კოდ. 418 მუხლის მიხედვით, ჩაითვალოს მემკვიდრეთ მეუღლე, რომლის დაქორწინება გარდაცვალებულთან არ არის გატარებული რეგისტრაციაში, და რომელიც ფაქტიურად ცხოვრობდა გარდაცვალებულთან ცოლ ქმრულ ურთიერთობაში, და ეს უკანასკნელი მტკიცდება სათანადო საბუთებით.

ხელის მომწერი № 505.

პასუხი:

როცა სასამართლო ფაქტიურ მეუღლეს ანიჭებს უფლებას მიიღოს მის ფაქტიურ მეუღლისაგან სარჩო, ის

გამოდის იმ დებულებიდან, რომ ორივე მხარე იყვნენ ისეთ ურთიერთობაში, რაც ამტკიცებს მათ ცოლქმრობას თუმცა მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ფაქტიური მეუღლეს შეუძლია მიიღოს მეორესაგან სარჩო, არ შეიძლება დასაბუთდეს ასეთი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება გარდაცვალებულ ფაქტიური მეუღლის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. მაგრამ ასეთი საფუძველი არის ძირითადი საფუძველი ორივე შემთხვევაში შესაფერ უფლების ცნობისათვის. ეს საფუძველი ისაა, რომ ფაქტიურად შეუღლებულნი ერთად უნდა ცხოვრობდნენ, საერთო მეურნეობას აწარმოებდნენ ერთად ცხოვრობის დროს, მესამე პირთა წინაშე ააშკარავებდნენ ცოლქმრულ ურთიერთობას და სხვ. მაგრამ იმისათვის, რომ ფაქტიურად შეუღლებული შეიძლებოდეს ჩავთვალოთ ცოლად სამოქ. სამართ. კოდ. 418 მუხლის მიხედვით, არ არის საკმარისი, რა თქმა უნდა, მხოლოდ აღნიშნულ პირობის არსებობა როგორც არ არის საკმარისი, სარჩოს მიღებისათვის ის, რომ ფაქტიურ მეუღლეთა კავშირი აკმაყოფილებს იმავე პირობას.

სამოქ. სამ. კოდექსის 418 მუხლისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ დეკრეტის მიხედვით ცოლად შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ ერთი პირი. ამიტომ ეს ერთი პირი, უკეთუ ის არის ფაქტიური მეუღლე გარდაცვალებულისა, უნდა აკმაყოფილებდეს პირობათა მთელ რიგს, რომ შეიძლებოდეს მისი ცნობა გარდაცვალებულის მეუღლეთ სამოქ. სამ. კოდ. 418 მუხ. მიხედვით. ეს პირობები იმას უნდა გამოხატავდნენ, რომ ფაქტიურად შეუღლებულნი არ არიან მოკლებულნი შესაძლებლობას გახდნენ ცოლ-ქმარნი 28 №-ით დეკრეტის მიხედვით ასე მაგალითად, თუ ფაქტიურად შეუღლებულ პართა შორის ერთი ან ორთავენი არიან ქორწინებაში კიდევ სხვასთან, იმ გარემოებას, რომ ფაქტიურად შეუღლებულნი აკმაყოფილებენ სარჩოს მიღებისათვის ძირითად პირობას, არ აქვს იურიდიული მნიშვნელობა მემკვიდრეობის უფლების ცნობისათვის. ასეთივე მდგომარეობა უნდა ვიცნოთ იმ შემთხვევებში, თუ ერთი მათგანი ან ორივენი სულით ავადმყოფნი არიან (დეკრეტის (№ 28) § 43) მძიმე ან სრულ ასაკიანი არ არიან, ან და მათ შორის არის ისეთი ნათესაობა, რაც გათვალისწინებული დეკრეტის (28 №-ით) 71 §-ში და მის შენიშვნაში. ზემოთ აღნიშნულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიური მეუღლე უნდა ჩაითვალოს სამოქ. სამ. კოდ. 418 მუხლის მიხედვით და უნდა იქნეს ცნობილი მისი, როგორც მეუღლის უფლება იმ ქონებაზე, რომელიც დარჩება მის ფაქტიურ მეუღლეს გარდაცვალების შემდეგ, თუ კი ის აკმაყოფილებს ძირითად, ქორწინების დამახასიათებელ პირობას და თუ მასთან გარდაცვალებულის სიკვდილამდე არ იყო მისთვის, იმის დამაბრკოლებელი ობიექტიური პირობები რომ რეგისტრაციაში გაეტარებიათ თავისი ქორწინება.

კ ა ნ ო ნ მ დ ე გ ლ ო ბ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

1928 წ. სექტემბრის 1-დან სექტემბრის 15-მდე.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა

სახელმწიფო წყობილება.

Об утверждении положения о подготовительной комиссии при Совете народных комиссаров ЗСФСР. (ს. კ. ს-ოს 1928 წ. აგვისტოს 23 დადგ. № 65,—„ზარ. ვოსტ.“ № 211, სექტემბრის 12).

დადგენილებით დამტკიცებულია ზემოაღნიშნული დებულება და მას დართული აქვს თვით დებულებაც, რომლის მიხედვითაც მოამზადებელი კომისია, როგორც მუდმივი კომისია, არსებობს ა.კ. ც. ა. კ-თან. მისი ამოცანაა—წინასწარ შეამუშაოს და განიხილოს ის საკითხები, რომლებიც უნდა გადასწყვიტონ ა.კ. ც. ა. კ-მა და ს. კ. ს-ომ (ერთად), ა.კ. ს. კ. ს-ომ და უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ, და აგრეთვე ყველა ის საკითხი, რაც დასკვნისათვის გამოეგზავნება ა.კ. მთავრობას ს. ს. რ. კ-ის მთავრობის ორგანოებისაგან.

კომისია შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და შვიდი წევრისაგან, რომლებსაც პერსონალურად დანიშნავს ა.კ. ს. კ. ს. და ა.კ. ს. კ. ს-ოს და უმაღლ. ეკონ. საბჭოს საქმეთა მმართველისაგან. სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ მას დაესწრო წევრთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ ნახევრისა, თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ჩათვლით. სხდომებზე დაიბარებიან მომხსენებლები დაინტერესებულ უწყებებისაგან, ხოლო თუ ასეთი დაბარებული მომხსენებელი არ გამოცხადდა, საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მის დაუსწრებლადაც. საკითხები სწყდება ხმათა უბრალე უმრავლესობით.

ა.კ. ს. კ. ს-ოსი და უმაღლ. ეკონ. საბჭოს წევრს, ა.კ. სახ. საგემო კომისიის, ა.კ. სახ. პოლიტ. სამმართველოს, ა.კ. პროფ. საბჭოს ან ა.კ. მომხმარებელი კოლექტივების კავშირის თავმჯდომარეს და მოამზადებელ კომისიის წევრს, უკეთეს იგი არ დაეთანხმება კომისიის დადგენილებას, შეუძლია წარადგინოს წერილობითი საწინააღმდეგო მოსაზრებანი სამი დღის ვადაში დღიდან ოქმისა ან ოქმის ამოწმების მიღებისა. სამი დღის შემდეგ კომისიის დადგენილება გაეგზავნება გადასწყვეტად ა.კ. ს. კ. ს-ოს და უმაღლ. ეკონ. საბჭოს თავმჯდომარეს და ამოუკანასკნელის მიერ ხელის მოწერის შემდეგ მიიღებს ა.კ. ს. კ. ს-ოს ან უმაღლ. ეკონ. საბჭოს დადგენილების ძალას (კუთვნილებისამებრ), ხოლო უკეთეს აღნიშნული თავმჯდომარე შესაძლებლად არა სცნობს ამა თუ იმ მოსაზრებით კომისიის დადგენილების დამტკიცებას, იგი ან გადასწყვეტს დადგენილებას კომისიის ხელაწინა განსახილველად ან გადაიტანს მას, კუთვნილებისამებრ, ს. კ. ს-ოს ან უმაღლ. ე. ო. ს. საბჭოში.

კომისიის დადგენილება განმკარგულებელი ხასიათისა იმ საკითხებზე, რაც გათვალისწინებულია ა.კ. ს. კ. ს-ოს და უმაღლ. ეკონ. საბჭოს მიერ დამტკიცებულ ცალკე ნუსხაში, ძალაში შევა კომისიის თავმჯდომარის ხელის მოწერისთანავე.

კომისიას შეუძლიან დაევალოს უწყებებს და ცალკე დაწესებულებებს, მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობით, საკითხების დამატებითი დამუშავება.

კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ განმკარგულებელი ხასიათის ყველა განკარგულებას მოახდენს თავმჯდომარე. ასეთი განკარგულება სავალდებულოა როგორც კომისიის წევრთათვის, ისე ა.კ. ს. ფ. ს. რ. ყველა დაწესებულებისათვისაც.

მოამზადებელი კომისია სარგებლობს ა.კ. ს. კ. ს-ოს და უმაღლ. ეკონ. საბჭოს სამმართველო აპარატით.

სასამართლო წყობილება

О дополнении ст. 4-ой положения о высшей закавказской арбитражной комиссии при ВЭС ЗСФСР. (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. სექტემბრის 3 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 113, სექტემბრის 14).

სათაურში აღნიშნულ დებულების (ა.კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1928 წ. № 2, მუხ. 24) მე-4 მუხლს დაემატა აქ პუნქტი, რომლის

მიხედვითაც საარბიტრაჟო კომისია განიხილავს აგრეთვე ისეთ სამოქალაქო დავას, რომელშიც ორივე მოდავე მხარე—ს. ს. რ. კავშირის დაწესებულებათა ცენტრალური ორგანოებია ან და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები, უკეთეს მასთანავე დავა, მხარეთა შეთანხმებით, გადაეცემა ა.კ. უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას.

ზ რ ო მ ა

О компенсации рабочих и служащих, членов ОСО-Авиохима, участвующих в маневрах, организуемы ОСО-Авиохимом. (ც. ა. კ-ის 1928 წ. სექტემბრის 4 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 205, სექტემბრის 5).

ავიქიმის—წევრ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ავიქიმის მიერ ამ.კავკ. ს. ფ. ს. რ. შემავალ რესპუბლიკებში მოწყობილ ალღუმებში, უნდა შეენარჩუნოს სამსახური და სამუშაო ხელფასი მიმდინარე წლის აგვისტოს 28-დან სექტემბრის 5-მდე.

О проведении государственного нормирования заработной платы в учреждениях, состоящих на местном бюджете. (ს.კ. ს-ოს 1928 წ. აგვისტოს 4 დადგ. № 60,—„ზარ. ვოსტ.“ № 206, სექტემბრის 6).

ამ.კავკ. ფედერაციის რესპუბლიკებში 1929 წ. იანვრის 1-დან უნდა გატარდეს სისტემა მტკიცე სათანადებო განაკვეთებისა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის. ხელფასის სახელმწიფოებრივი განორმება გატარდება იმ სამუშაო ხელფასის ფონდების ფარგლებში, რაც გატარდება იქნება 1928-29 წ. ბიუჯეტით, და იმ ბიუჯეტს ჰარეშე მუდმივი წყაროებისა, რომლის მოზარებაც ხელფასის გასასტუმრებლად ნებადართულ იქნება სპეციალურ ხარჯთაღრიცხვებით.

აღნიშნული განორმება გატარდება არსებული შტატებისა და ფაქტიური ჯამაგირების მიხედვით და მან არ უნდა გამოიწვიოს ხელფასის შემცირება მუშაკთა რამოდენიმედ მაინც მნიშვნელოვან რიცხვისათვის.

მტკიცე შტატებისა და განაკვეთების დაწესება მოხდება შემდეგნაირად. აღმასკომის სათანადო განყოფილება სათანადო პროფ. კავშირებთან ერთად ამ. კავკ. მუშგლეხინის მიერ შედგენილ თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით შეადგენს საშტატო-საგანაკვეთო მაუწყებლის პროექტს, რომელსაც შემდეგ განიხილავს აღმასკომი შრომისა, მუშგლეხინის და ფინანსთა სახ. კომისარიატებისა, სამაზრო პროფესიონალური ბიუროსი და სათანადო პროფკავშირებთა წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობით. მის შემდეგ რაც აღმასკომი მიიღებს აღნიშნულ მაუწყებელს, იგი წარედგინება სათანადო რესპუბლიკის შრომის სასკომს, რომელიც მას დამტკიცებს სათანადო ფინანსთა და მუშგლეხინის სახკომებსა და პროფ. საბჭოსთან შეთანხმებით.

ხელფასის კრედიტებში, სათანადებო განაკვეთებისათვის საჭირო თანხებს გარდა, ცალკე გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე თანხად, რაც საჭირო იქნება პერსონალური ზედნარებისა ზედმეტი მუშაობისათვის, გასასვლელ დახმარებად, აგრეთვე შევსულებში წასულ თანამშრომელთა მოადგილეების და დროებითი მუშაკების დასაქირავებლად.

დაწესებულების ადმინისტრაციას არ შეუძლიან დამოუკიდებლად გაადიდოს ან შეამციროს აღნიშნული შტატები ან განაკვეთები; საბიუჯეტო წლის განმავლობაში რაიმე ცვლილების შეტანა შეიძლება მარტოდენ მუშგლეხინის სათანადო ორგანოს ნებართვით, როდესაც ცვლილება ეხება შტატებს, და შრომის სახალხო კომისარიატისა—როდესაც იგი ეხება განაკვეთებისა, და იგი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ფონდების და წყაროების ფარგლებში.

ამ.კავკ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახკომმა, ამ.კავკ. ფინანსთა და მუშგლეხინის კომისარიატებთან და ა.კ. პროფსაბჭოსთან შეთანხმ-

ბით ერთი კვირის ვადაში უნდა შეიმუშაოს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

გადასახადი.

Об изменении перечня изъятий и льгот по государственному промысловому налогу (ს. კ. ს-ოს 1928 წ. სექტემბრის 3 დადგ. № 61, „ზარ. ვოსტ.“ № 207, სექტემბრის 7).

დადგენილება გამოცემულია თანახმად სახელმწიფო სარეწაო გადასახადის შეღავათების ნუსხის მე-3 მუხ. 1 შენ. — დანართი № 2 ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს მიერ 1928 წ. აგვისტოს 10 დამტკიცებული სახელმწიფო სარეწაო გადასახადის დებულებისა.

აღნიშნული ნუსხის მე-3 მუხ. „ბ“ პუნ. გათვალისწინებული შეღავათი არ გავრცელდება შემდეგი საქონლით ვაჭრობაზე:

1. ძვირფასი ქვებით, ოქროს და პლატინის ნაკეთებით;
2. ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთებით (გარდა წვრილი, იაფფასიანი და შინამრეწველური ნაკეთობისა);
3. ანტიკვარული საგნებით;
4. ოპტიკური, ფოტოგრაფიული, ქირურგიული, ფიზიკური და სხვ. ხელსაწყოებით, საკერი და საქსოვი მანქანებით;
5. ბეწვეულობითა და ბეწვეულების ნაკეთებით, გედის და სხვ. გერბით;
6. მზათი ტანისამოსით და საცვლითი (ნახმარის გამოკლებით);
7. ყოველგვარ მატერიებითა და ქსოვილებით, ძველების და შინ დამზადებულ ქსოვილების გამოკლებით და
8. მაგარი სასმელებით.

Об установлении твердых ставок государственного промыслового налога при обложении личных промыслов. (ს. კ. ს-ოს 1928 წ. სექტემბრის 3 დადგ. № 62, „ზარ. ვოსტ.“ № 207, სექტემბრის 7).

გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ-ისა მიერ 1928 წ. აგვისტოს 19 დამტკიცებული დადგენილების (სახელმწიფო სარეწაო გადასახადის დებულება) მე-13 მუხ.

დადგენილებით დაწესებულია ამ. კავშ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე დაბეგვრის მტკიცე განაკვეთები პირადი რეწვის სამ კატეგორიისათვის ხუთი კლასის მიხედვით, რომლებათაც დაყოფილია მთელი ტერიტორია.

ვაჭრობა

О перечне товаров, торговля коими воспрещена по твердым ставкам государственного промыслового налога. (ს. კ. ს-ოს 1928 წ. სექტემბრის, 3 დადგ. № 63, „ზარ. ვოსტ.“ № 208, სექტემბრის 8).

გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს მიერ 1928 წ. აგვისტოს 10, დამტკიცებული სახელმწიფო სარეწაო გადასახადის დებულების № 1 დანართისა (მე-5 შენიშვნისა).

წებადართულია ვაჭრობა პირადი რეწვის სარეგისტრაციო მოწმობებით, ზემოაღნიშნული დანართის 2, 7 და 15 პუნ. მოთხოვნათა პირობებში, ყოველგვარ საქონლით; ქვემოაღნიშნულებს გარდა:

1. ძვირფასი ქვებისა, ოქროს და პლატინის ნაკეთობისა;
2. ვერცხლის და ბრინჯაოს ნაკეთობისა (გარდა წვრილი იაფ ფასიანი და შინამრეწველური ნაკეთობისა);
3. ანტიკვარული საგნებისა;
4. ოპტიკური, ფოტოგრაფიული, ქირურგიული, ფიზიკური და სხვ. ხელსაწყოებისა, საკერი და საქსოვი მანქანებისა;
5. სხვადა სხვა გვარი ტყავეულობისა და ამ ტყავეულობის ნაკეთობისა, ტყავის ჩექმებისა და სხვა ფესსაცმელისა (გარდა ძველისა და გლეხური ფესსაცმელისა);
6. კოსმეტიკური და პარფიუმერული საქონლისა;
7. ბეწვეულობისა და ბეწვეულობის ნაკეთობისა, გედის და სხვ. გერბისა;
8. მზათი ტანისამოსისა და საცვლისა (გარდა ნახმარისა);
9. ყოველგვარი მატერიებისა და ქსოვილებისა და მათი ნაკეთობისა (გარდა ძველებისა და შინ დამზადებული ქსოვილებისა);

10. სპეციალურად გასტრონომიული და კოლონიალური საქონლისა (მათ შორის ჩაითა და ყავით);

11. მაგარი სასმელებისა.

სასოფლო მეურნეობა

О наблюдении и контроле за проведением в жизнь постановлений правительств союза С. С. Р. и ЗСФСР о мероприятиях, связанных с осенней посевной компанией 1928 года. (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. სექტემბრის 12 დადგ. „ზარ. ვოსტ.“ № 212, სექტემბრის 13).

საშემოდგომო თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად ა. კ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში დანიშნულია ა. კ. ს. კ. ს-ოს რწმუნებული, რომელსაც დაკისრებული აქვს საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი ამ დარგში ს. ს. რ. კავშ-ისა და ა. კ. ს. ფ. ს. რ-ისა მთავრობების მიერ გამოცემული დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

აღნიშნულ რწმუნებულს უფლება აქვს: მოსთხოვოს ა. კ. ს. ფ. ს. რ. ორგანოებსა და რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოებს და ორგანიზაციებს ცნობები მიღებულ ღონისძიებათა და საშემოდგომო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, — მისცეს მათ წინადადება, რათა შეასწორონ აღნიშნულ ღონისძიებათა დარგში ყოველი ნაკლი, ხოლო დამნაშავენი მისცენ პასუხისმგებლობა, — გადაუდებელ შემთხვევაში ს. კ. ს-ოს სახელით გასცეს განკარგულება, ს. კ. ს-ოსათვის შემდგომი მოხსენებით, მოაწყოს საშემოდგომო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიმოკვლევის საქმე.

აღნიშნულ რწმუნებულად დანიშნა ა. კ. მუშგლეხინის სახ. კომისარი ამხ. ა. ნაზარეტაიანი, მხოლოდ მის მოადგილედ ა. კ. ც. ა. კ-ის მდივანი ამხ. ი ტალიევი.

საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა

გადასახადები

მიზნობრივი საბინაო გადასახადის შემოსავლის 20 პროცენტის რესპუბლიკანურ ფონდში გადარიცხვის თაობაზე 1927 წ. ოქტომბრის 5-ის თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ (ს. კ. ს. 1928 წ. ივლისის 31 დადგ. „კომუნისტი“, № 213, სექტემბრის 13).

დადგენილებით გაუქმებულია ს. კ. ს-ოს 1927 წ. ოქტომბრის 5 დადგენილება (კომუნისტი 1927 წ. ოქტომბრის 6) მიზნობრივი საბინაო გადასახადის 20 პროც. საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანურ ფონდში გადარიცხვის შესახებ.

ქრედიტი

სათამასუქო დებულების მე-15, 16 და 17 მუხ. შეცვლისა და შენახვის შესახებ (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 18 დადგ. „კომუნისტი“, № 212, სექტემბრის 12).

სათამასუქო დებულების მე-15 მუხლს დაემატა მეორე აბზაცი რომლის მიხედვითაც უკეთეს საპროცენტოდ წარდგენილი თამასუქი განადგებულ იქნა პროტესტამდე, თამასუქის პატრონს უფლება აქვს მოითხოვოს, სათამასუქო თანხისა და პროცენტების გარდა, აგრეთვე თამასუქის საპროცენტოდ წარდგენასთან დაკავშირებულ სანოტარო ადგილობრივი და სხვა გამოსაღების ანაზღაურება.

მე-16 მუხ. რედაქცია შეცვლილია იმით, რომ შეპირებული თამასუქი (ტრატატა) ეწოდება თამასუქის გაცემის (ტრასსანტის) წერილობით წინადადებას გადაამხდელი ს. დ. მ. (ტრასსატი) და არა მ. ე. ს. ა. მ. ე. ს. დ. მ. (ტრასსატი) (ძველი რედაქციისა) გადაუხადოს ფული თამასუქის პატრონს.

მე-17 მუხ. მე-5 პუნ. ახალი რედაქციით იმ პირად ვისაც ფული უნდა გადაეხადოს უნდა ვიგულისხმეთ თამასუქის პირველი შემდენი.

გარდა ამ ცვლილებისა, მე-17 მუხლს დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვითაც თამასუქის გამცემს თამასუქის პირველ შემდენად შეუძლიან დანიშნოს თავისი თავი და ნას შეუძლიან აგრეთვე თავისი თავი გადამხდელად დანიშნოს.

მრეწველობა

რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების შესახებ (ც. ა. კ-სა და ს. კ. ს-ის დადგ.—„კომუნისტი“ № 203, სექტემბრის 1).

დადგენილება გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ-სა და ს. კ. ს-ის მიერ „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების დამტკიცების შესახებ“ 1927 წ. ივნისის 29 თარიღით გამოცემული (ს. ს. კ. კან. კრ. 1927 წ. № 39, მუხ. 391) დადგენილების მე-2 მუხლისა და წარმოადგენს „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების განვითარებას საქირო დამატებით.

განათლება

განათლების სახალხო კომისიარატისათვის სამხატვრო კოლექტივებისა და ნივთების გადაცემის შესახებ (ს. კ. ს-ის 1928 წ. აგვისტოს 24 დადგ.—„კომუნისტი“ № 213 სექტემბრის 13.

გამოცემულია 1923 წ. ნოემბრის 10, 114 №-ის დადგენილების დამატებად.

ყველა სახელმწიფო ორგანო, რომელსაც კი მოეპოება რაიმე სამხატვრო კოლექტივი ან მხატვრული მნიშვნელობის ცალკე ნივთები, უნდა გადასცეს ყოველივე ეს ორი თვის განმავლობაში ამა დადგენილების დღიდან ს. ს. ს. რ. განათლების სახკომს საქართველოს მუხუხეში მოსათავსებლად.

საზღვარეულო კანონმდებლობა

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობისა და კავშირ გაბმულობის მომუშავეთათვის საცხოვრებელი სივრცის მიცემის შესახებ (ს. კ. ს-ის 1928 წ. აგვისტოს 24 დადგ.—„კომუნისტი“ № 212, სექტემბრის 12).

ადგილობრივ აღმასკომებმა და ქალაქის საბჭოებმა უნდა მისცენ წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობის და კავშირ გაბმულობის მომუშავეთა საბინაო საჭიროების დასაკმაყოფილებლად ნაწილი იმ საცხოვრებელ სივრცასა, რაც მიღებულ იქნება ახალი საბინაო მშენებლობით,— ტფილისში არა ნაკლებ 10 პროც. სხვა ადგილებში—5 პროც.

ამ საცხოვრებელი სივრცის ოდენობა გადაისინჯება ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის გასულს.

აქარის და აფხაზეთის სახკომსაბჭოებმა და სამხრეთ-ოსეთის ც. ა. კ-მა უნდა გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

სასოფლო მუშრნეობა

ინდუსტრიალური სააბრეშუმო თესლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვის შესახებ (ს. კ. ს. 1928 წ. ივლისის 17 დადგ.—კან. კრ. 1928 წ. № 11, მუხ. 108)

ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ ორგანიზაციამ და კერძო პირმა სააბრეშუმო თესლი მთლად, როგორც შემოიღებული, ისე საქართველოში დამზადებული, უნდა წარუდგინოს კონტრაქტისათვის მიწსახკომს.

სააბრეშუმო თესლი რასაც მიწსახკომის სააბრეშუმო სადგური ინდუსტრიალურ თესლად სცნობს, მოსპობილ უნდა იქნეს, ხოლო ცელულოზარულ თესლს გადაეკვრის სათანადო ბანდეროლი.

აკრძალულია ისეთი თესლის ყიდვა-გაყიდვა და გაგრძელება აგრეთვე მისობელ რესპუბლიკებში გატანა, რომელსაც მიწსახკომისარიატის სააბრეშუმო სადგურის ბანდეროლი არა აქვს.

ამა დადგენილების დამრღვევი თანამდებობის პირი პასუხს აგებს, როგორც თანამდებობრივი დანაშაულისათვის, სისხლ. სამ. კოდ. სათანადო მუხლისამებრ, ხოლო კერძო პირი აღმინისტრაციული წესით აღნიშნული კოდექსის 212 მუხ. თანახმად.

აქარის და აფხაზეთის სახკომსაბჭოებმა უნდა გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

მეღიოკაცია

სამეღიოკაციო ამხანაგობათა შესახებ (ს. კ. ს-ის 1928 წ. აგვისტოს 21 დადგ.—„კომუნისტი“ № 208, სექტემბრის 7)

სამეღიოკაციო ამხანაგობა არსდება უმთავრესად იმ მიზნით რათა შეერთებული ძალით ააგოს, გამოიყენოს, წესიერად შეინახოს და დაიცვას ასაჯები ან უკვე აგებული ჰიდრო-ტენიკური სისტემები რომელთა დანიშნულებაა მიწის მორწყვა, დაშრობა, არხის ან ხევის ნაპირების გამაგრება და სხვ.: ამხანაგობას შეუძლია აგრეთვე შეიძინოს სამეურნეო იარაღი და მანქანები, ხელოვნური სასუქები, კოლექტიურად დაამუშაოს მიწები, დაამუშაოს და გაასაღოს სასოფლო პროდუქტები და სხვ.

ჰიდრო-ტენიკურ სისტემის აგება გამოყენების და შეკეთება-დაცვის საქმეში სამელ. ამხანაგობა ექვემდებარება საქართველოს წყალთა მეურნ. სამმართველოს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დარგში—სოფლის კავშირს.

ამხანაგობის დაარსების საჭიროებას გამოიკვლევენ ერთად იგივე დაწესებულებანი, ხოლო წესდებას დამტკიცებს სოფლის კავშირი წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით, რის შემდეგ წესდება გაიგზავნება სარეგისტრაციოდ კოოპერაციის საქმეთა სამმართველოში.

წინასწარ კვლევას აწარმოებს წყალთა მეურნეობის სამმართველო მიწსახკომთან შეთანხმებით, იგივე შეადგენს სამუშაოთა, გეგმას, პროექტს და ხარჯ-აღირციხვას.

ჰიდრო-ტენიკურ სანუშაოს აწარმოებს წყალთა მეურნეობის აპარატი ან, სამმართველოს თანხმობით და მისი უშუალო ტენიკური ხელმძღვანელობით, სამეღიოკაციო ამხანაგობა.

საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი მისცემს ამხანაგობას თანხებს საკრედიტო ფონდიდან.

ამხანაგობა შეადგენს ნაგებობათა ყოველწლიურად შეკეთებისა, ექსპლოატაციისა, წყლის განაწილებისა და სხვ. შესახებ სათანადო პროექტს, რომელსაც დასამტკიცებლად გაუგზავნის წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

აგრიკულტურულ მუშაობაში ამხანაგობას ხელმძღვანელობას გაუწევს სოფლის კავშირი მიწსახკომთან შეთანხმებით.

რევიზიის წესრიგს შეიმუშავენ ერთად სოფლის კავშირი და წყალთა მეურნეობის სამმართველო, ესენივე მოახდენენ ამ რევიზიას.

სოფლის კავშირი გაუწევს სამეღიოკაციო ამხანაგობებს სრულ ზედამხედველობას,



ქვეყნის სახალხო კომისარიატის დადგენილება

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების ინსტრუქცია. განმარტება იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განცხადებითა. ამონაწერი უზენაეს სასამართლოს პლენუმის ოქმიდან.

დადგენილება

1928 წ. 8 სექტემბერს განვიხილე რა საქმე კანეთის მაზრის პროკურორის ქუთათელაძის ბრალდების შესახებ; საიდანაც სჩანს, რომ მას, ქუთათელაძეს, ა. წ. 1-ლ ადვოკატს უკავშირია სასაიდლოში მასთან მოხვედრის სახით მისულ ბრალდებულ ვანო არსენიშვილის თავდებ ქვეშ განთავისუფლების საქმეზე თავის მეგობარ მოქ. ყსა-საბაშვილთან, მხოლოდ მეორე დღეს კი, ე. ი. 2 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც მან, ქუთათელაძემ, ვასცა განკარგულება აღნიშნულ პატიმარ არსენიშვილის განთავისუფლების შესახებ, — ხელახლად მიიღო მონაწილეობა ქეიფში სხვებთან ერთად იმავე მოქ. ყსაბაშვილთან, რის შემდეგ პატიმარი არსენიშვილი განთავისუფლებული იქმნა, რითაც პროკურორ ქუთათელაძემ მისცა აღნიშნულ ბრალდებულს განთავისუფლებას ნათლი-მამური ხასიათი და ამით აშკარათ დასცა მშრომელთა თვალში პროკურატურის პრესტიჟი, ამის გამო და ვ ა დ გ ი ნ ე:

კანეთის მაზრის პროკურორი ვ. ქუთათელაძე მოხსნილ იქმნეს თანამდებობიდან, როგორც შეუფერებელი ასეთისათვის.

ასლი ამა დადგენილებისა საქმიანობა და დაეგზავნოს საქ. საკონტროლო კომისიას — განკარგულებისათვის.

რესპუბლიკის პროკურორი **შ. მათიკაშვილი.**

დადგენილება

1928 წ. 7 სექტემბერს განვიხილე რა საქმე ბრალდებისა გამო გურჯაანის უბნის სახალხო მოსამართლე ილია მზეიძის. საიდანაც სჩანს, რომ აღნიშნულ მოსამართლეს არ ეილქცევია საკუთარი ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან ხასიათის საქმეებისათვის, როგორც არიან მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეები და ასეთები დიდი ხნის განმავლობაში სრულიად არ დანიშნულან არსებითად განსახილველად, ან და თუ ინიშნებოდნენ მეტის დაგვიანებით, მხოლოდ გამოტანილი განაჩენი კი ასეთ საქმეებზე არ წარმართულან სათანადო ორგანოებში მათი სისრულეში მოსაყვანად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ხასიათის საქმეების სწრაფად და დაუყოვნებლივ წარმოებას განსაკუთრებით მოითხოვდა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და ცნა-დია მოსამართლე მზეიძეს ეს კარგად უნდა სცოდნოდა, — ყველა ამის გამო და ვ ა დ გ ი ნ ე:

გურჯაანის უბნის სახ. მოსამართლე ი. მზეიძე მოხსნილ იქმნეს აღნიშნული თანამდებობიდან, როგორც შეუფერებელი ასეთისათვის.

რესპუბლიკის პროკურორი **შ. მათიკაშვილი.**

ინსტრუქცია

იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა.

1928 წ. სექტემბრის 10

ნაპოვნი ნივთების მიღებისა, შენახვისა და წარმართვის წესის შესახებ.

ა. ნაპოვნი ნივთების მიღება, მათი რეგისტრაცია და შენახვა.

1. დაკარგული ნივთის მპოვნელი მოქალაქე, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ნივთის დამკარგველ პირს, თუ იგი მას იცნობს მისი ხელწერილის ქვეშ. ან განაცხადოს ნაპოვნი ნივთის შესახებ და ჩააბაროს იგი მილიციაში, თემის აღმასრულებელ კომიტეტში ან სოფლის საბჭოში.

2. მილიციის ორგანოები, ვალდებული არიან მიიღონ მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ნივთები ან საბუთები, დაკარგული ან დაღვიწხებული მათი პატრონის მიერ.

3. ნივთების მიღების დროს მილიციის ორგანოები შეადგენენ ოქმს ნაპოვნი ნივთის სწორი აღწერილობის, პოვნის ადგილის, დროის, ნივთის მპოვნელ პიროვნებისა და მის მისამართის აღნიშვნით, ოქმზე ხელს აწერენ მისი შემდეგნი და ნაპოვნის წარმომდგენი პირი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ნაპოვნი ნივთი წარმომდგენს მისი თხოვნის თანახმად შეიძლება მიეცეს მას ოქმის ასლი ხელზე.

4. ყველა ნაპოვნი ნივთები და საბუთები მილიციის მიერ უნდა იქნეს გატარებული რეგისტრაციაში „ნაპოვნი და ვეფარში“.

5. უკეთუ ნაპოვნი ნივთებში ან საბუთებში არის მითითება ასეთების პატრონთა პიროვნებაზე ან მის საცხოვრებელ ადგილზე მილიციის ორგანო აცნობებს მას, მის მიერ დაკარგულ ან დაღვიწხებულ ნივთების ან საბუთების პოვნის შესახებ.

6. მილიციის ორგანოთა მიერ მიღებული ნაპოვნი ნივთები ინახება სამილიციო დაწესებულებაში ნაპოვნი აღმოჩენის ადგილის მიხედვით. იქვე უნდა გადაიგზავნოს ოქმებთან ერთად ნაპოვნი ნივთები, რომელიც მპოვნელის მიერ მიტანილი იქნება მილიციის დაწესებულებაში, აღმოჩენილი სხვა რომელიმე სამილიციო რაიონში.

7. ყველა ნაპოვნი ნივთების შესახებ, რომლებიც ინახება სამილიციო დაწესებულებებში, უკანასკნელში გარედან შესასვლელ მხრიდან ან განცხადებების გაკერისათვის მიღებულ სხვა ადგილებზე უნდა იქნეს გამოკრული განცხადება. რომელშიაც არ აღინიშნება არც ნივთის პოვნის ადგილი და არც მისი აწერილობა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს შესაძლებლობა ცრუ განცხადების შემოტანისა, ნაპოვნი ნივთების მიღების მიზნით.

8. უკეთუ მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ნივთი, რომელიც ნაპოვნი დაწესებულებაში, საწარმოში, საზოგადოებრივ საკვებდროის საერთო ადგილებში, რკინის გზის რაიონებში, გემებში და სხვაგან, მილიციის ორგანოები ვალდებული არიან აუხსნან ნივთის მომტან პირთ, მათი მოვალეობა — ჩააბარონ ნაპოვნი ნივთები იმ დაწესებულებას ან საწარმოთს აღმინისტრაციას, რომელშიაც ნაპოვნი იყუ ნივთი. და აგრეთვე გააფრთხილონ პასუხის მგებლობის შესახებ სისხ. სამ. კოდექსის 182 მუხ. მე-2 ნაწილისამებრ (1928 წ. რედაქცია).

უკეთუ ნივთის მპოვნელმა უარი განაცხადა საწარმოთს ან დაწესებულების აღმინისტრაციასთან ნივთის პირადად ჩაბარებაზე, მილიციის ორგანოები, ნაპოვნი ნივთს მიიღებენ და ნივთის პოვნის შესახებ ოქმის შედგენის შემდეგ ასეთებს წარმოადგენენ ნივთის აღმოჩენის ადგილის მიხედვით სათანადო დაწესებულებაში ან საწარმოში.

ბ. ნაპოვნი ნივთების დაბრუნება და წარმართვა.

9. უკეთუ ნივთის პატრონი გამოცხადდა, ნაპოვნი ნივთი ჩაბარდა მას მაშინ, როდესაც დაკითხვით გამოაშკარავდება, რომ ნივთი ყოველ გვეს გარეშე ვკუთვნის მას.

ნაპოვნი ნივთი მიეცემა პატრონს „ნაპოვნი და ვეფარში“ მისი ხელწერილის ქვეშ, გვარის, სახელის, მამის სახელის და მისამართის აღნიშვნით მასთან მას დაეკავება ნივთის შენახვით გამოწვეული ყველა ხარჯები.

უკეთუ ის პირი, რომელიც განაცხადებს ნაპოვნი ნივთზე თავის უფლებებს, გამოიწვევს ნივთის მის საკუთრების შესახებ რაიმე ეჭვს. მილიციის ორგანოები ნაპოვნი ნივთს მას არ მისცემენ და აუხსნიან მას, რომ უკანასკნელს აქვს უფლება აღძრას სასამართლოში სათანადო სამოქალაქო ძიება.

10. უკეთუ მოქალაქეს, რომელმაც თავის თავი გამოაცხადა ნივთის პატრონად, არ აღმოაჩნდება სათანადო საბუთი ნაპოვნი სა-

გნებით კანონიერ მფლობელობის შესახებ, რომელთა მფლობელობა დაშვებულია მხოლოდ სპეციალურ ნებართვებით ან მფლობელის სამსახურებრივი მდგომარეობით (იარაღი, ასაფეთქებელი მასალები, სახეიდრო მოკავშილეობა, ძრიელ მომქმედი შხამი და სხვა) ასეთი საგნები გადაეცემა სათანადო დაწესებულებებს (მუხ. 12) და თვით მფლობელი მიეცემა პასუხისგებაში სათანადო წესით.

11. წარმოდგენილი ნაპოვნი საბუთები განსაკუთრებითი მნიშვნელობისა, რომლითაც მათში აღნიშნულ პირთ ენიჭებათ რაიმე განსაკუთრებული დავალებანი (მივიღინების საბუთი განსაკუთრებული უფლებების აღკვეთით რაიმე ფინანსური ოპერაციების ჩატარების შესახებ მინდობილობა და სხვა), მათი მიღების შემდეგ მილიციის მიერ დაუყოვნებლივ გადაიგზავნება იმ დაწესებულებაში, რომელმაც გასცა ნაპოვნი საბუთები.

12. უკეთუ ნივთის პატრონი გაეგზავნა ცნობა ან მილიციაში შეტანილ იქნა განცხადება ნივთის პოვნის შესახებ (მუხ. 1) და ამ დროიდან ექვსი თვის განმავლობაში ნაპოვნი ნივთის პატრონი არ გამოცხადდა მის მისაღებათ ეს ნივთი გადაირიცხება სახელმწიფოს საკუთრებათ. როგორც უპატრონო ქონება, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 68 მუხლისა, და მილიციის ორგანოები, რომელთაც ინახებოდა ნივთი, გადასცემენ ასეთს სათანადო დაწესებულებას თანახმად კანონით დაწესებულ წესისა, კონფისკაცია ქმნილი, ბეითალმანი და უპატრონო ქონების განოყენების შესახებ (ს. ს. რ. კავშირის 1927 წ. № 28 მისის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება ს. ს. რ. კავშირის 1927 წ. № 32 კანონთა კრებულის 323 მუხლი) და მის განსაერთარებლად გამოცემული წესებისა.

13. დაკარგულ საბუთების მისაღებათ მათი პატრონის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. ასეთები შენახვის ექვსი თვის ვადის განვლის შემდეგ მოისპობა, რაზედაც შესდგება ოქმი და ნაპოვნთა დავთარში გაუკეთდება სათანადო აღნიშვნა.

14. პირნი, რომელნიც მიითვისებენ ნაპოვნი ნივთებს მიეცევიან პასუხის გებაში სისხ. სამ. კოდექსის 1928 წ. რედაქცია) 182 მუხ. მე-2 ნაწილისამებრ.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის
მოდგილი: ბერაძე.

ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარი შ. მათიკაშვილი.

განმარტება

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებისა.

1928 წ. სექტემბრის 8.

პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი—რა წესით უნდა სწარმოებდეს ვადამდე პირობით განთავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს ვადაწყვიტა თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი მუშაობის გარდა, სოციალური დაცვის სხვა ვადიანი ღონისძიება, კერძოდ უფლებების აყრა.

იუსტ. სახ. კომ. საკანონმდებლო განყოფილება, იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სისხ. სამ. კოდ. 54 მუხ. (1928 წ. რედაქცია) დაშვებულია ვადამდე—პირობითი განთავისუფლება სოციალური დაცვის ყველა ვადიან ღონისძიების მოხდისაგან ხოლო, მეორე მხრივ, როგორც შრომა-გასწორების კოდექსით, ისე სისხ. სამ. საპრ. კოდ. მომქმედი რედაქციით (მუხ. 454) დაწესებულია ვადამდე—პირობითი განთავისუფლება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი მუშაობის მოხდისაგან, განმარტავს, რომ საკითხი ვადამდე პირობითი განთავისუფლების შეფარდების შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს დადგენილებით ბრალდებულს უფლებების აყრა მიესაჯა, გადაწყვეტილ უნდა იქნეს თვით ამ სასამართლოს მიერ სისხ. სამ. საპრ. კოდ. 457 მუხლში აღნიშნული წესით. ამასთან, თუ მსჯავრდებული დაპატიმრებულია, იგი შუამდგომლობას წარუდგენს განმანაწილებელ კომისიას. როცე-

ლიც ამ შუამდგომლობას თავის დასკვნასთან ერთად გადუგზავნის სათანადო სასამართლოს, შრომა-გასწორების კოდექსით დადგენილი წესისამებრ.

იუსტიციის სახალხო კომისარი—**შ. მათიკაშვილი.**
საკანონმდებლო განყოფილება—**ი. როინაშვილი.**
8 სექტემბერი. № 14875.

განმარტება

იუსტიციის სახ. კომისარიატისა საკითხზე—არსებობს თუ არა ხანდაზმულობა სოციალური დაზღვევის გადასახდელის გადახდევინებისათვის.

თანახმად სსრკ-რის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 30-ის დადგენილებისა “სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრკ-რის კან. კრებ. 1925 წ. № 45, 366 მუხ.), თუ იმ საწარმოში, დაწესებულებაში, მეურნეობაში და პირმა, რომელნიც დაჭირავებული შრომით სარგებლობენ, არ გადახადეს სოციალური დაზღვევის ორგანოთა მიერ დაწესებულ ვადაზე, სოციალური დაზღვევის ფული, ეს ფული ჩაირიცხება მათზე როგორ ნარჩენი და გადახდებთ სახელმწიფო გადასახად-გამოსაღების გადახდევინებისათვის შემოღებული უდავო წესით. ამასთან სოციალური დაზღვევის ორგანოები სარგებლობენ იმავე უფლებით, რაც მინიჭებული აქვთ საფინანსო ორგანოებს სახელმწიფო გადასახად-გამოსაღების იძულებით გადახდევინებისათვის.

გადასახადთა აკრეფის დებულების“ (სსრკ-რის კან. კრებ. 1925 წ. № 70, 518 მუხ.) ძალით იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით არ გადახდის მაზე დარჩენილ გადასახადს, ამ ნარჩენს გადახდევინებს იძულებით პირდაპირ საფინანსო ორგანო სასამართლო ორგანოთა დაუნარებლივ. ამის მიხედვით სოციალური დაზღვევის გამო შესატანი თანხის ნარჩენის გადახდევინების დროს არ შეიძლება აღიძრას საკითხი სარჩელის განცხადებისა და მამასადამე, სასარჩლო ხანდაზმულობის შესახებ, ხოლო, რაც შეეხება ხანდაზმულობას ნარჩენის გადახდევინებისათვის, ამაზე არც „გადასახადთა აკრეფის დებულებაში“, არც სხვა რაიმე კანონში არაფერია ნათქვამი.

შემოთაღნიშნული მიხედვით და თანახმად „იუსტიციის სახ. კომისარიატის დებულების“ მე 6 მუხ. „ზ“ პუნქტისა, იუსტიციის სახ. კომისარიატი, სოციალური დაზღვევის სრულიად საქართველოს კომიტეტის შეკითხვაზე, განმარტავს: კანონით არავითარი ხანდაზმულობა სოციალური დაზღვევის გამო შესატანი თანხის ნარჩენის გადახდევინებისათვის არ არის დაწესებული.

იუსტიციის სახალხო კომისარი—**მათიკაშვილი.**
მე-3 განყოფილების გამგე—**როინაშვილი.**
8 სექტემბერი 1928 წ. № 14922.

ამონაწერი

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომის 1928 წ. 15 სექტემბერი ოქმიდან.

1. რესპუბლიკის პროკურორის მომართვა, რომ განმარტებულ იქნეს სამ. სამ. საპრ. კოდ. 266 მუხლი სამ. სამ. საპრ. კოდ. 101 მუხლთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა დასახიჩრებული მუშის მოთხოვნილება მისჯილი თანხის მიღების შესახებ დაკმაყოფილდეს იმ შეღავათების წესით, რაც გათვალისწინებულია სამ. კოდ. 101 მუხლით მომხს. ამხ. ლაშხი.

სამ. სამ. საპრ. კოდ. 266 მუხლის თანახმად, უკეთუ სასამართლოს აღმასრულებელთან შემოსული თანხა საკმარისი არ იქნება ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, აღმასრულებელმა

უნდა იხელმძღვანელოს სამ. სამ. კოდ. 101 მუხლით და პირველ რიგში უნდა დააკმაყოფილოს მუშა-მოსამსახურის მოთხოვნილება ხელფასის შესახებ და სოციალური დაზღვევის და სარჩოს შესახებ, შემდეგ რიგში კი უნდა დააკმაყოფილოს ყველა სხვა მოთხოვნილება; რაც შეეხება დასახირობული მუშა-მოსამსახურის მისჯილი თანხით დაკმაყოფილებას, ასეთი წესი არ არის გათვალისწინებული აღნიშნული მუხლით და უნდა ვიგულისხმობთ; რომ მისი დაკმაყოფილება თითქოს უნდა მოხდეს საერთო წესით, მაგრამ ეს მოსაზრება არ შეესაბამება მომქმედ კანონების აზრს და ამიტომ საე-სებით მიუღებელია, რადგან დასახირობით მიყენებული ზარალის

ასანაზღაურებლათ მისჯილი თანხა ისეთივე დანიშნულების არის როგორც ხელფასი და სარჩო, ე. ი. როგორც პირველ. ისე მეორე და მესამეც შეადგენენ მუშა-მოსამსახურის საცხოვრებელ სახსარს, ამიტომ ყველა ასეთებზე მოთხოვნილება უნდა სარგებლობდეს ერთნაირი შედეგებით, — და ა დ გ ი ნ ა: საკანონმდებლო წესით სათანადო კანონის გამოცემამდე მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოთ, რომ მუშა-მოსამსახურის მოთხოვნილება დასახირობით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლათ მისჯილი თანხის გაცემის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ხელფასის სოციალური დაზღვევის და სარჩოს დასაკმაყოფილებლად.

გამომცემელი:

საქ. ს. ს. რ. იუსტიციის

სახალხო კომისარიატი

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, ი. ტაღაზაძე,

პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, კ. მიქელაძე,

ს. ჯაფარიძე, ბ. ქავთარაძე.

რედაქციისათვის.

1. რედაქცია სთხოვს ავტორებს გვიკავონ სელთნაწერები ან მანქანასუ გადაბეჭდილი, ან დაწერილი სუფთა ხელით ფურცელის ერთ გვერდზე.
2. რედაქცია იტოვებს რედაქციულ შესწორებების და შექოკლებების უფლებას, თუ არ არის ავტორის ზირდანირი წინააღმდეგობა.
3. დაწუნებულ მასალას რედაქცია უკან არ აბრუნებს.

„საბჭოთა სამართალი“-ს რედაქციის აცხადებს

სამაზრო სასამართლოების, სამაზრო მილიციების
სამმართველოების და კერსონალურ ხელისმომ-
ფერლების საყურადღებოდ (როგორც აღგილო-
ბრივ აგრეთვე მაზრებში),

**რომ საჭიროა ღროზე შემოიტანონ მათ-
ზე ღარჩენილი ღაკალიანება.**

ემვსთვიან ხელისმომფერლებს მოვაგონებთ, რომ საჭიროა
შეჩინებულ ხელისმომფერის განახლება.



სახალხო სასამართლოების და სახალხო გამოძიებლების საყურადღებოდ

„საბჭოთა სამართლის“ რედაქცია სთხოვს სახალხო სასამართლოებს და სახ.
გამომძიებლებს, რომლებმაც მიიღეს ჩვენი ჟურნალის კომპლექტები ფასდადებით
და გამოეიდეს—ამის შესახებ სასწრაფოდ გვაცნობონ, რათა საშუალება მოგვეცეს
თავის დროზე ჟურნალების გადაგზავნისა.

მიიღება ხელისმოწერა მთლიან ნაწილში

ჟურნალ „საბჭოთა სამართალ“-ზე

1928 წ. 1 ივლისიდან 1929 წ. 1 იანვრამდე

ხელისმოწერის ფასი: 6 თვით—5 მან. 50 კ. 3 თვით—3 მან.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.

რედაქციის მისამართი: აბრამიძის ქ. 1 იანვრიდან ყველა
გამოსული ნომრებისა.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს იმ სამხარ. სასამართლოებს, რომელთაც მოე-
წოდებათ პირველი ნომერი გაუვიდრეველი სასწრაფოდ
გადმოგზავნონ უკან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32 „საბჭოთა სამართ-
ლის“ რედაქციას. ტელეფონი № 10-51.

საქ. ს. ს. რ. იუსტსახკომის გამოცემები

თანხმად საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 14 დადგენილებისა „საქ. მ. გ. კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოცემის შესახებ“ აცხადებს

სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და აგრეთვე კერძო დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

იღებს ხელისმომწერას

საქართ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში 1928 წლისათვის

საქ ს ს რ იუსტ სახ კომისარიატის გამოცემებს საწყობში აქვს:

- | | |
|---|---|
| 1. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქებზე, ქართულ ენაზე — 40 კ. | 16. იგივე რუსულ ენაზე — 70 კ |
| 2. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქებზე, რუსულ ენაზე — 40 კ. | 17. საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუცია (ბროშიურად) გაყიდულია. |
| 3. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. ქართულ ენაზე, კომპლექტი . 1 მ. 20 კ. | 18. „ტყის წესების დარღვევა—წანახედი“ სახელმძღვანელო თემალმასკომებისათვის (გაყიდულია). |
| 4. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 2 მ. — | 19. ბროშიურა „კომლის გაყრა“—მ. ქორჭაშვილი — 20 კ. |
| 5. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1925 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 1 მ. 50 კ. | 20. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა განმარტებანი მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლებისა“—(გაყიდული). |
| 6. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1926 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 3 მ. 10 კ. | 21. „იუსტსახკომის მომქმედი 1925 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ 1 მ. — |
| 7. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. ქართულ ენაზე 3 მ. — | 22. ბროშიურა „მიწის შრომითი იჯარა“— 15 კ ა. ალხოვი. |
| 8. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. რუს. ენაზე 3 მ. — | 23. „მსჯავრდადებულთა ცნობარი“ 1924 და 25 წ.წ. 3 მ. — |
| 9. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი. | 24. „იუსტსახკომის მომქმედი—1926 წ ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ (იბეჭდება). |
| 10. სამოქალაქო პროცესი. სახელმძღვან. ს. ჯაფარიძისა.—ქართულ ენაზე . . 1 მ. 65 კ. | 25. „საქართველოს ს. ს. რ. შრომა გასწორების კოდექსი“ —50 კ. |
| 11. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსი, ქართულ ენაზე 1927 წ. გამოცემა — 75 კ. | 26. „შრომითი მიწის მოსარგებლე და მისი უფლება მოვალეობანი —კ. მიქელაძე. (პოპულარული წიგნი) —50 კ. |
| 12. იგივე რუსულ ენაზე. — 75 კ. | 27. „სახალხო მსაჯულის უფლება—მოვალეობანი სასამართლოში“ — 25 კ. |
| 13. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქართულ ენაზე — 45 კ. | 28. „ნასყიდობა“—ა. ალხოვისა — 70 კ. |
| 14. საქ. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულება, ქართულ ენაზე — 25 კ. | 29. „Действующее законодательство о порядке перехода и обложения налогом имуществ, переходящих по наследованию и дарению“ И. Папчадзе. სისხლის სამართლის კ—პ. 70 კ. |
| 15. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამ. საპრ. კოდ. 1927 წ. გამოცემა — 70 კ. | 30. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი ქართულ და რუსულ ენაზე — 65 კ. |

ამის გარდა გამომცემლობას შეუძლიან მიაწოდოს მსურველთ რ. ს. ფ. ს. რ. და უკრ. რესპ. იურიდიული ლიტერატურის ყველა ახალი გამოცემა.

ყველა მოთხოვნას კანონთა კრებულის, კოდექსების და იურიდიული ლიტერატურის გაგზავნის შესახებ გამომცემლობა ასრულებს დაუყონებლივ ფოსტით ფულის მიღების უმაღლეს და ფასდადებით გაგზავნის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, იუსტ. სახ. კომის. გამომცემლობას. ტელეფონი—13—68.